პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 142 (13834)

სამშაბათი, 20 ივნისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტაზე

ჭიათურა. (საკ. კორ.-. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ვ. სამხარაძე, პარტიბიუროს მდივანი გ. მირონაძე) წარმატებით ასრულებს საიუბილეო წლის ვალდებულებებს.

ორჯონიკიძელებმა 25 დღით ადრე შეასრულეს საკავშირო მარგანეცის დამზადების ნახევარი წლის დავალება.

თავდადებულად შრომობენ აკ. კენჭოშვილის, ა. ბარბაქაძის, შ. ფხალაძის, ტ. ფერაძის საწარმოო უბნების კოლექტივები. საიუბილეო შრომის ვახტზე დგანან წარჩინებული მაღაროელები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჭიღლაძე, ა. შეყილაძე, გ. ჭიქიძე, ს. კაპანაძე, ა. ცუცქირიძე, ა. კაციტაძე და სხვ.

მაღაროს კოლექტივმა ივლისის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის კოლექტივი. მისმა პროდუქციამ შორს გაიარა სახელი. აქაურ მრავალკონტაქტიან ელექტრორელეს და ჯიბის ფანრის ბატარიებს ჩვენი სამშობლოს ხუთასზე მეტი ქალაქი იღებს და სასიხარულოა, რომ ერთ წელზე მეტია ქარხნის კოლექტივს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ იმ საამქროების კოლექტივები, რომლებსაც მ. ხუციშვილი და ა. მაღლაკელიძე ხელმძღვანელობენ. ნაყოფიერად შრომობენ ნ. ცერცვაძე, ლ. ფერაძე, ე. გაჩეჩილაძე, მ. რობაქიძე, ა. ტალახაძე, ე. ჩიტორელიძე და სხვები.

წელს ქარხნის კოლექტივმა მიიღო დავალება გამოეშვა ახალი პროდუქცია — ჩატარია „მარსი-373“. ამ საპატიო საქმის შესრულებას მტკიცედ მოკიდეს ხელი. ლიტვის სს რესპუბლიკის ქარხნებში გამოცდილების მიღების შემდეგ აქ წარმატებით აითვისეს ახალი პროდუქციის დამზადება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე 1967 წლის 19 ივნისს

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურმა სესიამ, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის ინიციატივით, დღეს განაახლა მუშაობა. იგი განიხილავს დაზავების ხაზს იქით ისრაელის ჯარების დაუყოვნებელივ დაბრუნებისა და არაბთა სახელმწიფოების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საკითხს.

ამ საკითხზე დისკუსიაში პირველი გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ბატონო თავმჯდომარე,
ბატონო დელეგატებო,

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები შეიკრიბნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე, რათა განიხილონ ის სერიოზული და საშიში მდგომარეობა, რომელიც ამ ბოლო დროს შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში და რომელმაც ყველგან დიდი შეშფოთება გამოიწვია.

მართალია, ამჟამად იქ საომარი მოქმედება არ წარმოებს. ცეცხლის შეწყვეტა მშვიდობისმოყვარე ძალების გარკვეული წარმატებაა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის უშიშროების საბჭოსაც, თუმცა მან ვერ შეძლო ბოლომდე შეესრულებინა თავისი მოვალეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. აგრესია გრძელდება. ისრაელის შეიარაღებულ ძალებს დაუპირობებელი აქვთ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, იორდანიის მიწა-წყალი.

სანამ ისრაელის ჯარები არ დატოვებენ დაპყრობილ ტერიტორიებს, სანამ არ განხორციელდება აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის სასწრაფო ღონისძიებანი, სამხედრო კონფლიქტმა ახალი ძალით შეიძლება იფეთქოს ყოველ წუთს.

სწორედ ამიტომ გამოიჩინა საბჭოთა კავშირმა გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის ინიციატივა. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ბევრმა ხელმწიფემ მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებას. ისინი ბევრგზით მოეკიდნენ იმ საფრთხეს, რომელსაც ეს ვითარება ქმნის, ცხადყვეს, რომ ზრუნავენ მშვიდობისათვის.

გენერალური ასამბლეა დგას პასუხსაგები ამოცანის წინაშე — მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც გზას აუკვალავენ მშვიდობის აღდგენას ახლო აღმოსავლეთში. ეს ამოცანა შეეხება ყველა სახელმწიფოს მიუხედავად მისა, თუ როგორია მათი სოციალური და პოლიტიკური სისტემები, ფილოსოფიური შეხედულებანი, გეოგრაფიული მდებარეობა და რომელ დაჯგუფებას ეკუთვნიან ესენი. ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანამედროვე მსოფლიოს მრავალფეროვნება და სირთულე არ დაჩრდილავს იმ საერთოს, რაც აერთიანებს სახელმწიფოებსა და ხალხებს, და უწინარეს ყოვლისა ომის კატასტროფის თავიდან აცილების საჭიროებას.

რომელი საკითხი აწუხებს ახლა ყველაზე მეტად ყველა ხალხს? ჩვენი აზრით, გენერალური ასამბლეის ყველა მონაწილე დაგვეთანხმება, რომ ხალხებს ახლა ყველაზე მეტად აწუხებთ საკითხი, თუ როგორ აიცილონ თავიდან ეს კატასტროფა.

არც ერთ ხალხს არ უნდა ომი. ახლა არავის არ მიაჩნია საეჭვოდ ის მდგომარეობა, რომ ახალი მსოფლიო ომი რომ ატყდეს, იგი უთუოდ ატომური ომი იქნება. მიერ შედეგები დამლუპველი იქნება მსოფლიოს ბევრი ქვეყნისა და ხალხისათვის. სხვადასხვა ქვეყნის განსაკუთრებით ყველაზე შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწენი, გამოჩენილი მოაზროვნენი და მეცნიერნი ატომური ომის შექმნის პირველი დღიდანვე გვაფრთხილებდნენ ომის გამო.

ატომურმა საუკუნემ ახალი რეალობა შექმნა ომისა და მშვიდობის საკითხებში, მან სახელმწიფოებს განუმტკიცა მეტი პასუხისმგებლობა დააკისრა ყველაფრისთვის, რაც ამ საკითხებს ეხება. ამას სადავოდ ვერ გახდის ვერც ერთი პოლიტიკური მოღვაწე, ვერც ერთი სამხედრო, თუ არ დაუკარგავს საღად აზროვნების უნარი, ან თუ უმეტეს, რომ სამხედროებმა სხვაზე უკეთ იციან, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ატომურ ომს.

მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკა აღსავსეა ფაქტებით, რომლებიც გარკვეულ სახელმწიფოთა ერთ სხვაგვარ მიდგომას მოწმობენ. არ წყვეტენ დამოუკიდებელი ქვეყნებისა და ხალხების საშინაო საქმეებში ჩარევის, მათთვის პოლიტიკური კონცეფციების, სოციალური წეს-წყობილებაზე **უცხო** შეხედულებათა გარედან ძალის მოხვევის ცდებს. ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გააცოცხლონ სამხედრო ბლოკები. აახლებენ და სრულყოფენ სამხედრო ბაზების — მთელ მსოფლიოში გაფანტული აგრესიის საყრდენი პუნქტების სისტემას. სამხედრო ფლოტები სერავენ ზღვებს თავიანთი ნაპირებიდან ათასობით კილომეტრზე და საფრთხეს უქმნიან მთელი რაიონების სახელმწიფოთა უშიშროებას.

მაშინაც კი, როცა დაძაბულობის გამწვავება თუ ომის საფრთხის კერების შექმნა შედარებით პატარა სახელმწიფოთა კონფლიქტებს უკავშირდება, მათ ხშირად ხელს უწყობენ დიდი სახელმწიფოები. ეს შეეხება არა მარტო ახლო აღმოსავლეთს, სადაც აგრესია ჩაიდინა ისრაელმა, რომელსაც უფრო დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები უმაგრებენ ზურგს, არამედ დედამიწის სხვა რაიონებსაც.

აგერ უკვე თითქმის სამი წელია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები სრულიად შეუნიღბავად ახორციელებენ პირდაპირ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ომი იმისათვის წარმოებს, რომ თავს მოახვიონ ვიეტნამელ ხალხს უცხოთის იმპერიალისტური წრეებისათვის სასურველი წეს-წყობილება — სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიომ დაგმო ამ ომის წამოწყებანი. არის ვიეტნამის საკითხის გადაჭრის გზა, და ეს გზა მარტივია: ამერიკის შეერთებული შტატები უნდა წავიდნენ ვიეტნამიდან, გაიყვანონ თავიანთი ჯარები. უწინარეს ყოვლისა მათ დაუყოვნებლივ და უთუოდ უნდა შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. ვერავითარი განცხადება ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრისათვის მზადყოფნის შესახებ ვერ იქნება დამაჯერებელი, თუ ამას არ იზამენ. ამერიკის შეერთებული შტატების მოღვაწეთა ასეთი განცხადებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების ნამდვილ საქმეებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვიეტნამის ომის განგრძობა აძლიერებს ამ რაიონის ფარგლებს გარეთ სამხედრო კონფლიქტის გაფართოების საფრთხეს, და ქმნის დიდ საშიშროებას, რომ ეს კონფლიქტი შეიძლება გადაიქცეს სახელმწიფოთა ფართო სამხედრო შეტაკებად. სწორედ ამას გვიქადის ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი კურსი.

მტრული პოზიცია სოციალისტური კუბის მიმართ, სამხედრო ინტერვენციები ხან კონგოში, ხან დომინგოს რესპუბლიკაში, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კოლონიურ ტერიტორიათა ხალხების შეიარაღებული ჩახშობის ცდები, — ყოველივე ეს ამავე ჯაჭვის რგოლებია, იმათი არცთუ სამშვიდობო პოლიტიკის გამოვლინებაა, ვინც თავისი მოქმედებით ქმნის და აღვივებს საერთაშორისო დაძაბულობას, იწვევს საერთაშორისო კრიზისებს.

ავიღოთ ევროპა — კონტინენტი, რომელზეც გაჩაღდა როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომების ხანძარი. საბჭოთა კავშირის, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების და ბევრი სხვა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი აქ მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე ის იყო და არის, რომ არ დაუშვან ახალი ომის გაჩაღება, შებოჭონ ძალები, რომლებსაც სურთ რევანში აიღონ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებისათვის.

ევროპის მშვიდობისათვის ბრძოლის პროცესში უკვე დიდი ხანია მკაფიოდ გამოჩნდნენ ის ძალები, რომლებსაც სურდათ ჰიტლერელთა კვალს გაჰყოლოდნენ. ეს ძალები დასავლეთ გერმანიაში არიან. იქ მთელი ომისშემდგომი წლების მანძილზე არ მალავენ, რომ არ ეთანხმებიან ომის შედეგებს, მოითხოვენ ომის შემდეგ შექმნილი ევროპის საზღვრების გადასინჯვას, ესწრაფვიან ხელთ იგდონ მასობრივი მოსპობის იარაღი. ამ ძალებმა ხალხებისათვის საშიში ბლოკი შეკრეს ევროპის გარეთ აგრესიულ ძალებთან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტებმა და რევანშისტებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი გიჟური გეგმების განხორციელების ყოველგვარი ცდა ძძიმე უბედურებას დაატეხს ხალხებს და მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიას.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს ევროპის მშვიდობას და თავის პოლიტიკას ევროპის საქმეებში საფუძველად უდებს ომისშემდგომ შექმნილი საზღვრების, მათ შორის ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრების პატივისცემას.

ეს იმ მოვლენათა არასრული ნუსხაა, რომლებიც ამწვავებენ საერთაშორისო ცხოვრებას, დროდადრო დიდ დაძაბულობას იწვევენ და ქმნიან ომის კერებს.

თუ გავაანალიზებთ ახლო აღმოსავლეთის ამბებს, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების ომიც რაიმე გაუგებრობის ან იმის შედეგი როდია, რომ მხარეებმა საკმაოდ ვერ გაუგეს ერთმანეთს. ეს მარტო ლოკალური კონფლიქტი როდია. ახლო აღმოსავლეთის ამასწინანდელი ამბები, რომლებიც ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების შეიარაღებულმა კონფლიქტმა გამოიწვია, სწორედ მთელი საერთაშორისო ვითარების კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

არ მინდა შევეხო კერძო შემთხვევებს, მაგრამ ძირითადი ფაქტები აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რათა სწორად შევაფასოთ მომხდარი ამბავი.

რით ხასიათდება უკანასკნელი წელი ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების ურთიერთობაში? დაძაბულობის განუწყვეტელი ზრდითა და ისრაელის ჯარების სულ უფრო ფართო თავდასხმებით ხან ერთ და ხან მეორე მეზობელზე.

1966 წლის 25 ნოემბერს უშიშროების საბჭომ დაგმო ისრაელის მთავრობა იორდანიის წინააღმდეგ გულმოდგინედ დაგეგმილი „ფართო მასშტაბის სამხედრო აქციის“ გამო, რითაც დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, და გააფრთხილა, რომ თუ ასეთი მოქმედება განმეორდება, უშიშროების საბჭო იძულებული იქნება განიხილოს „წესდებით გათვალისწინებული შემდგომი და უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი“. მაგრამ ისრაელმა დასკვნები ვერ გამოიტანა.

მომდინარე წლის 7 აპრილს ისრაელის ჯარები თავს დაესხნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიას. ეს იყო დიდი სამხედრო ოპერაცია თვითმფრინავების, ტანკებისა და არტილერიის გამოყენებით. ამის შემდეგ ისრაელმა გამოიწვია ახალი სამხედრო ინციდენტები იორდანიის საზღვარზე.

ისრაელი მაშინ კიდევ ერთხელ გააფრთხილეს მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა, რომ პასუხს აგებდა თავისი პოლიტიკის შედეგებისათვის. მაგრამ ისრაელმა არც ამის შემდეგ გადასინჯა თავისი კურსი. მისი პოლიტიკური ლიდერები აშკარად იმუქრებოდნენ, რომ „უფრო ფართო საომარ მოქმედებას განახორციელებდნენ არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ“. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ აპრილის შეიარაღებული თავდასხმა სირიაზე არ არის უკანასკნელი ღონისძიება და რომ ისრაელი თვითონ აირჩევს მეთოდებსა და დროს ასეთი ახალი აქციებისათვის. 1967 წლის 9 მაისს ისრაელის პარლამენტმა ისრაელის მთავრობას მისცა რწმუნებულებანი განეხორციელებინა საომარი ოპერაციები სირიის წინააღმდეგ. დაიწყო ისრაელის ჯარების თავმოყრა სირიის საზღვრებთან, მოეწყო მობილიზაცია.

იმ დღეებში საბჭოთა მთავრობამ, და ვფიქრობ, არა მარტო ჩვენ, მივიღეთ ცნობები, რომ ისრაელის მთავრობა მაისის დამლევისათვის აპირებს სწრაფი დარტყმა მიაყენოს სირიას მისი განადგურების მიზნით, შემდეგ კი საომარი მოქმედება გადაიტანოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

როცა ომისათვის მზადება მთავრდებოდა, ისრაელის მთავრობა კონფიდენციალური წესით თუ საჯაროდ ირწმუნებოდა, მშვიდობისმოყვარული განზრახვები მაქვსო. იგი აცხადებდა, რომ არ აპირებს დაიწყოს საომარი მოქმედება, არ სურს კონფლიქტი მეზობლებთან. რამდენიმე საათის წინ არაბულ სახელმწიფოებზე თავდასხმამდე, ისრაელის თავდაცვის მინისტრი იფიცებოდა, ჩემი მთავრობა საქმის მშვიდობიანი გადაჭრის გზებს ეძებსო. „დავ იმუშაოს დიპლომატიამ“, — ამბობდა ეს მინისტრი იმ დროს, როცა ისრაელის მფრინავებს უკვე მისცეს ბრძანებანი დაებომბათ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის ქალაქები. ეს უმაგალითო ვერაგობაა!

5 ივნისს ისრაელმა დაიწყო ომი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ. ისრაელის მთავრობამ ფეხქვეშ გათელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, საერთაშორისო სამართლის ნორმები, ცხადყო, რომ ყველა მისი მშვიდობისმოყვარული განცხადება თვით-ბოლომდე ყალბი ყოფილა.

რაც შემდეგ მოხდა ყველამ იცით.

აქ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კედლებში, მოგაგონებთ მხოლოდ იმას, თუ რა თავხედურად უგულებელყო აღვირახსნილმა აგრესორმა უშიშროების საბჭოს მოთხოვნები ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

6 ივნისს უშიშროების საბჭო წინადადებას აძლევს ისრაელს შეწყვიტოს ყველა საომარი მოქმედება როგორც პირველი ნაბიჯი მშვიდობის აღდგენის გზაზე. ისრაელი აფართოებს ოპერაციებს ფრონტებზე.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ისრაელმა უნდა გაიყვანოს ჯარები დაზავების ხაზს იქით!

სპბპ ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილიდან კვლავ მოდის წერილები და დეპეშები, რომლებშიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას. წერილებისა და დეპეშების ავტორები მოითხოვენ ისრაელის მთავრობისაგან გაიყვანოს ჯარები დაპყრობილი ტერიტორიიდან დაზავების ხაზს იქით.

ქალაქ დნეპროძერჟინსკის პურკომბინატის მუშაკები წერენ, რომ ისინი იწონებენ საბჭოთა მთავრობის მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთში ომის საშიში კერის ლოკვიდაციას. „არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლა გაიმარჯვებს“, — განაცხადეს ამ კომბინატის მიტინგის მონაწილეებმა. ისრაელის აგრესიისთ გამოწვეული აღშფოთება გამოხატეს თავიანთ დეპეშებში დნეპროძერჟინსკის „სურასათვაჭრობისა“ და ავტობაზის თანამშრომლებმა.

„მხურვალედ ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია დაეხმაროს არაბ ხალხს. ჩვენ მოვითხოვთ ისრაელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია და გაიყვანოს ჯარები დაზავების ხაზს იქით“, — განაცხადა ბალაკლავსკის გორკის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა. ტიუმენის ოლქის აბატსკის რაიონის მშრომელები სკკპ ცენტრალურ კომიტეტს უცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას და ძალღონეს არ დაზოგავენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამენ დეპეშებში კრივოიროგის საწარმოო ავტოტრანსტის თანამშრომლები, სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივები. (საკდესი).

ჩოხატაურელი და ხობელი მეჩაიეების მაგალითი

ჩოხატაურელები 1 ივლისამდე კიდევ იძლევიან 300, ხობელები მაის-ივნისის გეგმის გადამეტებით — 200 ტონა მწვანე ოქროს!

ჩოხატაური. („კომუნისტის“ კორ.). გუშინ რაიონის მეჩაიეებმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. ნაცვლად 2.950 ტონისა მოკრეფილია 2.952 ტონა ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფასა და დამზადებაში თავი ისახელეს ხიდისთავის, ჩაისუბნის, სამების, გოგოლესუბნის, ზოტის, ნაბეღლარის, კოხნარის კოლმეურნეობების (თავმჯდომარეები ბ. სიხარულიძე, ო. შარაშენიძე, კ. ტყეშელიანი, ა. ყაჭიაშვილი, რ. ართმელაძე, გ. დოლიძე და მ. ნეფარიშვილი) მეჩაიეებმა. ხიდასთაველებმა ნაცვლად 232 ტონისა მოკრიფეს 250 ტონა ნედლეული, ჩაისუბნელებმა ნაცვლად 270 ტონისა — 280 ტონა, სამებელებმა ნაცვლად 130 ტონისა — 138 ტონა, გოგოლესუბნელებმა ნაცვლად 113 ტონისა — 119 ტონა და სხვ. ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ჩხიკვაძე) გეგმა 113 პროცენტით შეასრულა. ამავე ბრიგადის მეჩაიეებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. ჩხიკვაძემ 2.500 კილოგრამის ნაცვლად 3.600 კილოგრამი მოკრიფა. თავი ისახელეს აგრეთვე ვ. დოლიძემ (ვანახლებიდან), გ. კალანდაძემ (ხიდისთავიდან), ც. კოტრიკაძემ (ბუკნარიდან), ე. წოტაიშვილმა (გორაბერექოულიდან) და სხვებმა. რაიონის მეჩაიეები პირველ ივლისამდე კიდევ 300 ტონა ნედლეულს მოკრეფენ.

ხობი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ნაცვლად 1.885 ტონისა მოკრეფილია 1.941 ტონა ჩაის ფოთოლი.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების საქმეში თავი ისახელეს ბიის კალინინის, ძველი ხიბულის ლენინის, ახალი ხიბულის კიროვის, საჯიჯაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები — ი. თოდუა, ჭ. ჯიშკარიანი, შ. კემულარია, ტ. შენგელაია). ბიელმა მეჩაიეებმა ნაცვლად მაის-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 87 ტონა ნედლეულისა, ჩაის ფაბრიკებს მიუწოდეს 105,7 ტონა, ძველხიბულელებმა ნაცვლად 173 ტონისა — 207,8 ტონა, ახალხიბულელებმა ნაცვლად 348 ტონისა — 355 ტონა, ხოლო საჯიჯაოელებმა ნაცვლად 95 ტონისა — 96 ტონა.

ხობელი მეჩაიეების გადწყვეტილებაა 1 ივლისამდე მაის-ივნისის გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 200 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

210.000 ტონა ხელოვნური

შეჯიბრებაში გამარჯვებული

საიუბილეო წელს ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა ფართოდ გაგაჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, ხალხის მომსახურების გაუმჯობესებისათვის. „გასტრონომვაჭრობამ“ უკვე მოიპოვა პირველი წარმატება. მიმდინარე წლის I კვარტალის საქონლბრუნვის გეგმა 104,9 პროცენტით შესრულა. მოსახლეობას გეგმის ზევით მიჰყიდა 482 ათასი მანეთის საქონელი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქონლის გაყიდვა 16,7 პროცენტით გაიზარდა. დაგროვების გეგმა შესრულებულია 107,4 პროცენტით. ზეგეგმითმა მოგებამ 12,1 ათასი მანეთი შეადგინა.

მიმდინარე წლის I კვარტალში მოპოვებული შედეგებით თბილისის „გასტრონომვაჭრობამ“ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დრომა და პირველი ფულადი პრემია.

ამას წინათ გაიმართა თბილისის „გასტრონომვაჭრობის“ მუშაკთა საზეიმო კრება. საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ო. იოსელიანმა ვაჭრობის მუშაკებს მიულოცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და თბილისის „გასტრონომვაჭრობის“ დირექტორს ვ. კიკვაძეს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა. საპასუხო სიტყვაში ვ. კიკვაძემ ქსელის მუშაკთა სახელით თქვა, რომ კვლავაც წარმატებით იბრძოლებენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ № 21 მაღაზია (დირექტორი ი. რეხვიაშვილი) და № 47 მაღაზია (დირექტორი ვ. ბაჩილავა). აღნიშნულ მაღაზიებს გადაეცათ თბილისის „გასტრონომვაჭრობისა“ და პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, საპატიო სიგელები გადაეცათ მთელი რიგი მაღაზიების კოლექტივებს და ცალკეულ მუშაკებს.

მოსკოველი სტუმრები საქართველოში

გორი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გორის რაიონის სტუმრები — მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის დელეგაცია — გუშინწინ იყვნენ ბორჯომის ხეობაში. აქ მათ დაათვალიერეს სანატორიუმი ლიკანი და ბაკურიანი. რამენსკოელებმა მონაწილეობა მიიღეს გორის პირველ საშუალო სკოლაში გამართულ ყვავილების დღესასწაულში.

გუშინ სტუმრები ეცნობოდნენ რაიონის სოფლის მეურნეობას.

სტუმრები იყვნენ ჭიწნისის მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღებში. აქ გულდასმით გაეცნენ ხეხილის წამლობის ქიწნისელთა გამოცდილებას. ფლავის შრომის წითელი დროშის ორდენსანი კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებმა, შაქრის ჭარხლის ნათესებმა და სამკალად გამზადებულმა მინდვრებმა სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

კოლმეურნეობის ეკონომიკაზე სტუმრებს ესაუბრა კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. ეცადაშვილი.** აქვე გადაწყდა ფლაველთა ხეხილის ერთ-ერთ ბაღს ეწოდოს „რამენსკოელთა ბაღი“. რამენსკოელ რაიონის საბჭოთა მეურნეობა „სტეპანოვსკის“ დირექტორმა **გ. ორლოვმა** ბლოკნოტში ბევრი რამ საინტერესო ჩაიწერა ხეხილის მოვლა-პატრონობის ფლაველთა გამოცდილებიდან და თქვა, თქვენი გამოცდილება დაგვეხმარება ჩვენი 610 ჰექტარი ხეხილის ბაღის უხვმოსავლიანობის მიღწევაშიო.

გუშინ საღამოს რამენსკოელმა სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს ტყვიავის სოფლის მშრომელთა ყრილობის მუშაობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

19 ივნისს მოწვეულ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად დამტკიცებით აირჩია **ე. მაღრაძე** და შეიყვანა იგი პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობაში დამტკიცებით შეყვანილი იქნენ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი **რ. მოთვარაძე** და ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ რედაქტორი **მ. მრევლიშვილი.** (საქდესი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ

საოქტომბრო „კითხვას“

მოხსენებას თემაზე „**კომუნისტური პარტია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია**“ წაიკითხავს ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი **ალხ. შ. ა. სტეპანჩენკო.**

მოხსენება შედგება 1967 წლის 21 ივნისს დღის 4 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრსპ. № 29).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა.

ა. ნ. კოსიგინის შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს გუშინ მეგობრული საუბარი ჰქონდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ი. ცირანკევიჩთან. საუბარში მონაწილეობა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. რაპაცკთან.

იმავე დღეს ა. ნ. კოსიგინს მეგობრული საუბარი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან ი. ლენარტთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ვ. დავიდთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრთან ვ. �მოვამ.

საუბარი შეეხებოდა მდგომარეობას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ისრაელის აგრესიის შედეგად, და ამასთან დაკავშირებით მოწვეულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიას.

საუბრებში მონაწილეობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი გუშინ შეხვდა სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ნ. ატასის. მეგობრულ ვითარებაში მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და იმ საკითხებზე, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიას ეხება.

საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ნ. ტ. ფედორენკო; სირიის მხრივ — სირიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ეორუ ტომე.

ა. ნ. კოსიგინის გამოსვლის დასასრული

7 ივნისს უშიშროების საბჭო აწესებს საბოლოო ვადას, რომლისთვისაც უნდა შეწყდეს საომარი მოქმედება. ისრაელის ჯარები განაგრძობენ შეტევას, ისრაელის ავიაცია ბომბავს არაბთა მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს.

9 ივნისს უშიშროების საბჭო კვლავ კატეგორიულად ითხოვს შეწყვიტონ ცეცხლი. ისრაელი უგულებელყოფს ამ მოთხოვნასაც. ისრაელის არმია იწყებს შეტევას სირიის თავდაცვითს პოზიციებზე იმ მიზნით, რომ გზა გაიკაფოს ამ სახელმწიფოს დედაქალაქ დამასკოსაკენ.

საჭირო გახდა უშიშროების საბჭოს კიდევ ერთი — მეოთხე გადაწყვეტილება, საჭირო გახდა მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ისრაელთან, მტკიცე გაფრთხილება, რომ გამოიყენებენ სანქციებს, რათა ისრაელის ჯარებს შეეწყვიტათ საომარი მოქმედება. არაბული სახელმწიფოების ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც ფაქტიურად ოკუპირებულია ამჟამად ისრაელის მიერ, დაიპყრეს უკვე მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

ფაქტები უცილობლად მოწმობენ, რომ ომის გაჩაღებისათვის, მისი მსხვერპლისათვის, მისი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა აკისრია ისრაელს.

მაგრამ თუ ვინმეს კიდევ ესაჭიროება იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ომი ახლო აღმოსავლეთში ისრაელმა გააჩაღა, რომ იგი აგრესორია, ასეთი დამამტკიცებელი საბუთი მან თვითონ მოგვცა. შეუძლებელია სხვანაირად გავიგოთ ისრაელის მთავრობის უარი მხარი დაეჭირა საბჭოთა კავშირის წინადადებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ. ისრაელის მთავრობა რომ არ გრძნობდეს დანაშაულს მსოფლიოს ხალხების წინაშე, ასე არ შეეშინდებოდა ჩვენი განხილვისა და იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც უნდა მიიღოს გენერალურმა ასამბლეამ.

ისრაელს არა აქვს ჩადენილი აგრესიის გასამართლებელი არგუმენტები. ისრაელი ამაოდ ცდილობს გაიმართლოს თავი, ისევე როგორც ამაოდ ცდილობენ მისი ადვოკატები დაიცვან ისრაელის პოლიტიკა და მოქმედება და ამტკიცებენ, თითქოს ისრაელი იძულებული იყო თავს დასხმოდა არაბულ სახელმწიფოებს, თითქოს მეორე მხარეს არ დაეტოვებინოს მისთვის სხვა გამოსავალი.

თუ ისრაელს ჰქონდა პრეტენზიები თავისი მეზობლების მიმართ, იგი უნდა მოსულიყო აქ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აქ უნდა ეძებნა მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საშუალებანი, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. ისრაელი ხომ პრეტენზიას აცხადებს სარგებლობდეს იმ უფლებებითა და პრივილეგიებით, რასაც იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა, მაგრამ სადაც უფლებანია, იქ მოვალეობებიც არის.

სულ უფრო მეტი ცნობები მოდის, რომლებიც მოწმობენ, რომ ისრაელი ოკუპანტები მხეცობასა და ძალადობას სჩადიან დაპყრობილ ტერიტორიაზე. ის, რაც ხდება სინას ნახევარკუნძულსა და ღაზის რაიონში, იორდანიის დასავლეთ ნაწილსა და ისრაელის ჯარების მიერ დაპყრობილ სირიის მიწა-წყალზე, გვაიძულებს მოვიგონოთ ის საზარელი დანაშაულებანი, რასაც ფაშისტები სჩადიოდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. მკვიდრ არაბ მოსახლეობას მიერეკებიან ღაზიდან, იერუსალიმიდან და სხვა რაიონებიდან. ისევე როგორც თავის დროზე ჰიტლერული გერმანია გაულეიტერებს ნიშნავდა ოკუპირებულ რაიონებში, ისრაელის მთავრობაც საოკუპაციო ადმინისტრაციას ქმნის დაპყრობილ ტერიტორიებზე, ნიშნავს იქ თავის სამხედრო გუბერნატორებს.

ისრაელის ჯარები წვავენ სოფლებს, ანადგურებენ ჰოსპიტლებს, სკოლებს. მშვიდობიან მცხოვრებლებს ტოვებენ უსურსათოდ და უწყლოდ, უსპობენ არსებობის ყოველგვარ საშუალებას. იყო ფაქტები, რომ მათ დახვრიტეს სამხედრო ტყვეები და ქალებიცა და ბავშვებიც კი, დაწვეს სანიტარული მანქანები დაჭრილებითურთ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გვერდს ვერ აუვლის ამ დანაშაულს. უშიშროების საბჭომ უკვე მოითხოვა ისრაელის მთავრობას იზრუნოს დაპყრობილი რაიონების მცხოვრებთათვის, უზრუნველყოს მათი კეთილღეობა და უშიშროება. თვით ეს რეზოლუცია აგრესორის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა აიძულოს ისრაელი პატივი სცეს საერთაშორისო კანონებს. იმ დანაშაულობათა ორგანიზატორებმა და შემსრულებლებმა, რაც არაბული ქვეყნების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხდება, სასტიკად უნდა აგონ პასუხი.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულია აგრესიის მსხვერპლის დახმარების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა მხარდაჭერის პრინციპისა, გაბედულად გამოვიდა არაბული სახელმწიფოების დასაცავად. ჩვენ გავაფრთხილეთ ისრაელის მთავრობა, როგორც აგრესიის დაწყებამდე, ისევე ომის დროს, რომ თუ მან გადაწყვიტა იკისროს პასუხისმგებლობა ატეხილი სამხედრო კონფლიქტისათვის, ამ მთავრობამ მთლიანად უნდა აგოს პასუხი ომის შედეგებისათვის. ჩვენ ახლაც მტკიცედ ვადგავართ ამ პოზიციას.

როცა ლაპარაკია ომსა და მშვიდობაზე, ხალხთა უფლებების დაცვაზე, თავი უნდა ვანებოთ პოლიტიკაში ზიგზაგებს. რა თქმა უნდა, ხდება ისეც, რომ ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად სახელმწიფოები სახავენ რამდენიმე შესაძლო გზას. მაგრამ ისეთ საკითხებში, რომლებსაც ამჟამად გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია იხილავს, არ არსებობს აგრესორის, მის ზურგს უკან ძდგომი ძალების გადაჭრით დგომის ალტერნატივა, აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის ალტერნატივა. სხვაგვარად ვერ მივაღწევთ აგრესიის შეწყვეტას, ავნებიურების სურვილს ვერ დავუკარგავთ იმათ, ვინც მომავალში მოინდომებდა ამას.

ასე იყო 1948-1949 წლებშიც, როცა ისრაელმა ძალით დაიპყრო იმ არაბული სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით უნდა შექმნილიყო. მილიონამდე კაცი აპყარეს მშობლიური ადგილებიდან. შიმშილისათვის, ტანჯვა-წამებისა და სიღატაკისათვის გასწირეს. მთელი ამ წლების განმავლობაში უსამშობლოდ დარჩენილი და არსებობის საშუალებას მოკლებული ეს ხალხი განდევნილთა მდგომარეობაშია. პალესტინელ ლტოლვილთა მწვავე პრობლემა, რომელიც ისრაელის პოლიტიკამ წარმოშვა, დღემდე გადაუჭრელია და განუწყვეტლივ აძლიერებს დაძაბულობას ამ რაიონში.

შეიძლება იკითხონ, ასე გადაჭრით რატომ გამოდის საბჭოთა კავშირი ისრაელის წინააღმდეგ? არა, ბატონებო. საბჭოთა კავშირი ისრაელის წინააღმდეგ კი არა, იმ აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის, რომელსაც ამ სახელმწიფოს მმართველი წრეები ახორციელებენ.

საბჭოთა კავშირი მთელი თავისი 50 წლის ისტორიის მანძილზე პატივისცემით ეკიდება ყველა ხალხს — დიდსა თუ პატარას. თითოეულ ხალხს აქვს უფლება შექმნას საკუთარი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო. ასეთია საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.

სწორედ ამის საფუძველზე განვსაზღვრავდით ჩვენს დამოკიდებულებას ისრაელის, როგორც სახელმწიფოსადმი, როცა 1947 წელს ხმა მივეცით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას ინგლისის ყოფილი კოლონიის პალესტინის ტერიტორიაზე შექმნილიყო ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ებრაული და არაბული. საბჭოთა კავშირმა, რომელიც ხელმძღვანელობს ამ პრინციპული პოზიციით, შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ისრაელთან.

საბჭოთა კავშირი, რომელიც იცავს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებებს, ასევე მტკიცედ გმობს ყოველი სახელმწიფოს ცდას განახორციელოს სხვა ქვეყნების მიმართ აგრესიული პოლიტიკა — სხვისი მიწაწყლის მიტაცების, ამ მიწაწყალზე დასახლებულ ხალხთა დამონების პოლიტიკა.

როგორია ისრაელის სახელმწიფოს პოლიტიკა? სამწუხაროდ, ისრაელის არსებობის მეტი ხნის მანძილზე მისი მმართველი წრეები ახორციელებდნენ მეზობელი არაბული სახელმწიფოების მიწების მიტაცებისა და ამ მიწაწყლის ხარჯზე თავისი ტერიტორიის გაფართოების პოლიტიკას, მიერეკებოდნენ და სპობდნენ კიდეც ამ ადგილების მკვიდრ მოსახლეობას.

ასე იყო 1956 წელსაც, როცა ისრაელი გამოდიოდა როგორც ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის მონაწილე. იმავე გზით, როგორც ახლა, შეიჭრნენ ისრაელის ჯარები ეგვიპტის მიწაწყალზე. ისრაელი მაშინაც ცდილობდა შეენარჩუნებინა მიტაცებული მიწები, მაგრამ იძულებული გახდა უკან, დაზავების ხაზს იქით წაბრძანებულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი წევრების უმრავლესობის მძლავრი ზეგოქმედებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებმა კარგად იციან, რომ მომდევნო წლების მანძილზე ისრაელი აგრესიულ აქტებს ახდენდა ხან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხან სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ. ამ წლების მანძილზე არც ერთ სხვა საკითხზე ასე ხშირად არ მოგვწვევია უშიშროების საბჭო, როგორც ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების კონფლიქტების საკითხებზე.

როგორც ვხედავთ, აგრესიული ომი, რომელიც ამჟამად ისრაელმა გააჩაღა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, პირდაპირი გაგრძელებაა იმ პოლიტიკისა, რომელსაც მმართველი ექსტრემისტული წრეები ახვევდნენ თავს თავის ქვეყანას ისრაელის სახელმწიფოს მთელი არსებობის მანძილზე. და სწორედ ამ აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ მტკიცედ და თანმიმდევრულად გამოდის საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ და ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან ერთად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა აიძულოს ისრაელი დაემორჩილოს ხალხთა მოთხოვნებს. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამას არ იზამს, იგი ვერ შეასრულებს თავის იმ საპატიო მოვალეობას, რისთვისაც შეიქმნა, და ხალხებს შეერყევათ რწმენა ამ ორგანიზაციისადმი.

ისრაელი მხოლოდ მაშინ დაიმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის, თუ დაადგება მშვიდობის გზას, თუ უარს იტყვის მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ აგრესიულ პოლიტიკაზე.

ჩვენ თანმიმდევრული და სამართლიანი არ ვიქნებით ისრაელის პოლიტიკის შეფასებაში, თუ სრულიად გარკვევით არ განვაცხადებთ, რომ ისრაელი თავის მოქმედებაში გარკვეული იმპერიალისტური წრეების გარედან მხარდაჭერას ეყრდნობა. უფრო მეტიც, ეს გავლენიანი წრეები აკეთებდნენ განცხადებებს და მიმართავდნენ პრაქტიკულ მოქმედებას, რომელთა გაგებაც ისრაელ ექსტრემისტებს შეეძლოთ მხოლოდ ერთი მნიშვნელობით — ეს იყო აშკარა წაქეზება აგრესიის აქტების ჩასადენად.

მაგალითად, როგორ შეიძლება სხვაგვარად შევაფასოთ ის ფაქტი, რომ ისრაელის აგრესიის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, როგორც ფართოდ იუწყებოდა პრესა, სასწრაფოდ ამუშავებდნენ არაბულ სახელმწიფოებზე გავლენის მოსახდენად საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის გეგმას? როგორ შეიძლება სხვაგვარად გავიგოთ ამერიკის მე-6 ფლოტის სამხედრო დემონსტრაციები არაბულ სახელმწიფოთა ნაპირებთან და ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალების გაძლიერება ხმელთაშუა ზღვაში და მეწამული ზღვის რაიონში ან ისრაელის არმიისათვის თანამედროვე იარაღისა და საომარი მასალების მიწოდების გადიდება?

არაბული სახელმწიფოებისა და მათი ლიდერების წინააღმდეგ წამქეზებლური კამპანია გაჩაღდა განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიაში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კერძოდ, გამოაცხადეს, რომ შემოღებულია დისკრიმინაციული ფინანსური ღონისძიებანი არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში დაიწყო ეგრეთწოდებულ მოხალისეთა შეგროვება ისრაელისათვის.

დამახასიათებელია, რომ საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირმა შეიარაღებული კონფლიქტის პირველ საათებშივე გადაჭრით დაგმო ისრაელი აგრესორები, მოითხოვა მათი ვერაგული აქტების საყოველთაო დაგმობა, ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ჯარების გაყვანა დაზავების ხაზს იქით, იგივე ძალები, რომლებსაც სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა აგრესიის ხელშემწყობთ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ შესაძლებლობა მიეცათ ისრაელისათვის მოეგო დრო და დაეპყრო ახალი ტერიტორიები, განეხორციელებინა თავისი გეგმები. ამის შედეგად უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შექმნილი საგანგებო ვითარებით იქნებოდა ნაკარნახევი. ამიტომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი საშიში ვითარებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო ისრაელს, არამედ იმათაც, ვინც ზურგს უმაგრებს მას ამ ამბებში.

ამჟამად ტელ-ავივის ყველაზე აგრესიული წრეები აცხადებენ, რომ მათ მიერ დაპყრობილი არაბული ტერიტორიები, — როგორც ამას თავხედურად ამტკიცებენ, — საფუძველს აძლევს მათ ახალი მოთხოვნები წაუყენონ არაბულ ქვეყნებსა და ხალხებს. ისრაელში წარმოებს არაბთა საწინააღმდეგო აღვირახსნილი პროპაგანდა, რომელსაც ბანს აძლევს დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის პრესა, და ქება-დიდებას ასხამენ იარაღის ძალას, გაისმის ახალი მუქარა მეზობელი ქვეყნების მიმართ, აცხადებენ, რომ ისრაელი ანგარიშს არ გაუწევს არავითარ გადაწყვეტილებას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის გადაწყვეტილებასაც, თუ არ დაკმაყოფილებენ ისრაელის მოთხოვნებს.

აგრესორი სულ მთლად გათავხედდა. იგი აყენებს ახლო აღმოსავლეთის რუკის გადაკეთების დიდი ხნის წინათ მოფიქრებულ გეგმებს. ისრაელი ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ისრაელი არ წავა ღაზის რაიონიდან, არ წავა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირიდან. ისინი აცხადებენ, რომ ისრაელი აპირებს თავის კონტროლქვეშ შეინარჩუნოს მთელი იერუსალიმი, და ამტკიცებენ, თუ არაბული ქვეყნები არ დაემორჩილებიან ისრაელის მოთხოვნებს, ისრაელის ჯარები იქ დარჩებიან, სადაც ახლა იმყოფებიანო.

როგორ ეკიდებიან ისრაელის ამ პრეტენზიებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები? მათ ფაქტიურად აქაც აგრესორის ხელშემწყობის პოზიცია უკავიათ. როგორ შეიძლება სხვაგვარად გაიგოს აგრესორმა მათი ის პოზიცია უშიშროების საბჭოში, რომელმაც ხელი შეუშალა ისრაელის ჯარების დაზავების ხაზს იქით დაუყოვნებლივ გაყვანის წინადადების მიღებას? ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის სიტყვებს, რომლებსაც არ იშურებენ ამერიკის წარმომადგენლები, აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ ისინი, ვინც ამ სიტყვებს წარმოთქვამენ, სავსებით გარკვევით უარყოფენ აგრესორის ტერიტორიულ პრეტენზიებს და მოითხოვენ მისი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას.

ანექსიის პროგრამის წამოყენებით ისრაელი საბოლოოდ კარგავს რეალობის გრძნობას და მეტად საშიშ გზას ადგება. აგრესიის შედეგების დამკვიდრების ვერავითარ ცდას ვერ მოჰყვება წარმატება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უარყოფს არაბი ხალხებისათვის ისეთი მოწესრიგების თავს მოხვევის ცდებს, რომელიც შელახავდა მათს კანონიერ ინტერესებს, მათს გრძნობებსა და ღირსებას. ტერიტორიების დაპყრობა, თუ ამას ცნობენ ცალკეული სახელმწიფოები, მხოლოდ ახალი, შესაძლოა, კიდევ უფრო დიდი კონფლიქტების მიზეზი გახდეს, ახლო აღმოსავლეთის მშვიდობა და უშიშროება კი მოჩვენებითი დარჩება. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არც იქნება. აგრესიის შედეგების დამკვიდრების ცდები საბოლოო ანგარიშით ისრაელისა და მისი ხალხის წინააღმდეგ შეტრიალდება.

ისრაელი, რომელსაც ოკუპირებული აქვს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, იორდანიისა და სირიის ტერიტორიები, კვლავ არაფრად აგდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს. ამიტომ ახლანდელი სესიის მთავარი ამოცანა ის არის, რომ დაგმოს აგრესორი და განახორციელოს ღონისიძებანი, რათა ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები დაზავების ხაზს იქით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამოცანა ის არის, რომ დამპყრობთაგან გავწმინდოთ არაბული ქვეყნების ტერიტორიები, რომელთა ოკუპაციაც ისრაელის ჯარებმა მოახდინეს.

ისრაელის აგრესიის შედეგად პარალიზებულია სუეცის არხის — დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო სანაოსნო გზის მუშაობა, რომელიც ოკუპანტებმა ფრონტის ხაზად გადააქციეს.

საბჭოთა კავშირი კატეგორიულად მოითხოვს — ისრაელის ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ სუეცის არხის ნაპირები, დაპყრობილი ყველა არაბული ტერიტორია.

მხოლოდ დაპყრობილი ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანას შეუძლია შეანელოს დაძაბულობა, შექმნას მშვიდობის პირობები ახლო აღმოსავლეთში.

განა გასაგები არ არის, რომ, თუ ეს არ მოხდა, თუ ისრაელ დამპყრობთა ჯარებმა არ დატოვეს არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიები, არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მოწესრიგდება სხვა გადაუჭრელი საკითხები ახლო აღმოსავლეთში.

იმას, ვინც ომი ატეხა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ამაოდ აქვს იმის იმედი, რომ რაიმე სარგებლობას მიიღებს ამით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების საქმეს ემსახურებოდეს, მთელი თავისი გავლენა, მთელი თავისი ავტორიტეტი უნდა გამოიყენოს, რათა ბოლო მოეღოს აგრესიას.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც მოითხოვს აგრესიის დაგმობას და ჯარების გაყვანას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის დაპყრობილი ტერიტორიებიდან, იმით ხელმძღვანელობს, რომ მარტო ახლო აღმოსავლეთში როდია საჭირო მშვიდობის შენარჩუნება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მსოფლიოში ბევრი რაიონია, სადაც მოიძებნებიან სხვათა ტერიტორიების მიტაცების მსურველნი, სადაც ჯერ კიდევ არ სცემენ ჯეროვან პატივს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეუვალობის პრინციპებს. თუ დღეს საკადრისი პასუხი არ გავეცით ისრაელის პრეტენზიებს, ხვალ ახალი დიდი თუ პატარა აგრესორები შეეცდებიან დაიპყრონ სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ტერიტორიები.

მსოფლიოს ხალხები ყურადღებით ადევნებენ თვალს, შეძლებს თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჯეროვანი პასუხი გასცეს აგრესორს და დაიცვას მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რაიონის — ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ინტერესები. ამ რაიონის ამბების განვითარება ბევრი სახელმწიფოს შეშფოთებას იწვევს საკუთარი უშიშროების თვალსაზრისით და ეს სავსებით გასაგებია. თუ ჩვენ აქ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, არ მივიღებთ სათანადო ღონისძიებებს, იმ სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც კონფლიქტის მონაწილენი არ არიან, შეუძლიათ დაასკვნან, რომ არ უნდა ჰქონდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრივ დაცვის იმედი, და, საკუთარი უშიშროების უზრუნველსაყოფად, დაადგებიან შეიარაღების გაძლიერების, სამხედრო ბიუჯეტების გადიდების გზას. მაშასადამე, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული სახსრები კიდევ უფრო მეტად მოხმარდება გამალებულ შეიარაღებას. იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის ინტერესები, არ შეუძლიათ და ვერ დაუშვებენ, რომ მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდეს.

არის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ისრაელის აგრესიიდან გამომდინარეობს, — აგრესია მიზნად ისახავდა არსებული რეჟიმების დამხობას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სირიასა და სხვა არაბულ ქვეყნებში, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ხალხთა პროგრესისათვის გაბედული ბრძოლით იმპერიალისტთა სიძულვილს და დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი ხალხების სოლიდარობასა და მხარდაჭერას იწვევენ. ამიტომ არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის მოქმედების დაუსჯელად დატოვება იმას ნიშნავს, რომ გავიღაშქროთ ხალხთა ეროვნული განთავისუფლების საქმის წინააღმდეგ, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ბევრი სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი არ ცნობს ტერიტორიულ დაპყრობებს ისრაელის მხრივ. მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეალების ერთგული საბჭოთა კავშირი თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე ამ ორგანიზაციის ფარგლებს გარეთაც, რათა მიაღწიოს აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას და ხელი შეუწყოს მტკიცე მშვიდობის დამკვიდრებას ამ რაიონში. ეს არის ჩვენი ურყევი და პრინციპული გეზი. ეს არის ჩვენი და სხვა სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი გეზი.

9 ივნისს შვიდი სოციალისტური ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ისინი სრულ სოლიდარობას უწევენ არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სამართლიან ბრძოლას. თუ ისრაელის მთავრობა არ შეწყვეტს აგრესიას და არ გაიყვანს ჯარებს დაზავების ხაზს იქით, სოციალისტური სახელმწიფოები „ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დაეხმარონ არაბთა ქვეყნების ხალხებს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორს, დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებანი, ჩააქრონ ომის კერა ახლო აღმოსავლეთში, აღადგინონ მშვიდობა ამ რაიონში“.

საკითხს, რომელიც დასმულია ახლანდელი საგანგებო სესიის განსახილველად, გულგრილად ვერ მოეკიდება ვერც ერთი სახელმწიფო, რაც უნდა შორს იყოს იგი აგრესიის რაიონიდან. ეს არის ომისა და მშვიდობის საკითხი ახლანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში. მშვიდობის ბედი შეიძლება წუთებმა არ საათებად გადაწყვიტონ. თუ ბოლოს არ მოვუღებთ მრავლისმომსაგანვითარებას ახლო აღმოსავლეთში, საერთაშორისო-აღმოსავლეთ აზიაში — ყველგან, სადაც ერთგვარ — მეზობლობას, თუ გაფართოების საშუალებას მივცემთ კონფლიქტებს, ამას დღეს თუ ხვალ მოჰყვება ერთი ვედრი — დიდი ომი, ამასთან ვერც ერთი სახელმწიფო ვერ დარჩება განზე.

თითოეული სახელმწიფო, თითოეული მთავრობა, თუ იგი ნამდვილად ზრუნავს მშვიდობისათვის, ახალი ომის დაუშვებლობისათვის, ვერ იტყვის: ეს ამბავი ჩემი საზღვრებიდან შორს ხდება, და მე შემიძლია მშვიდად ვიყოო. არა, ეს ასე არ არის, ერთი შეხედვით მცირე მოვლენები ან ეგრეთ წოდებული „ლოკალური ომები“ შეიძლება გადაიქცეს დიდ საომარ კონფლიქტად. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფო და თითოეული მთავრობა თავიანთი მოქმედებით არა თუ არ უნდა ართულებდეს მდგომარეობას, არამედ ყოველ ღონეს უნდა ხმარობდეს, რათა არ დაუშვას ვითარების არავითარი გამწვავება და მით უმეტეს ომის კერების შექმნა, ხოლო თუ ასეთი კერები შეიქმნა — უნდა ჩააქროს ისინი. ეს განსაკუთრებული ძალით უნდა აღინიშნოს ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ამ უკანასკნელი ამბების გამო, რომლებმაც ბევრად გაართულეს ისედაც რთული და საშიში საერთაშორისო ვითარება.

არაბული სახელმწიფოები, რომლებიც აგრესიის მსხვერპლნი არიან, სამართლიანად მოელიან, რომ მათი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, კანონიერი უფლებანი და ინტერესები, რომლებიც დაარღვიეს შეიარაღებული თავდასხმის შედეგად, მთლიანად და დაუყოვნებლივ აღდგება. ვიმეორებთ — ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს დაპყრობილი ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანას, ეს დღეს მთავარი საკითხია, ურომლისოდაც ვერ შენელდება დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში.

აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია ნიშნავს აგრეთვე აუნაზღაურდეთ აგრესორის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი იმათ, ვისაც თავს დაესხა, ვისი მიწების ოკუპაციაც მოახდინა. ისრაელის ჯარების, ისრაელის ავიაციის მოქმედებას მოჰყვა სახლების, სამრეწველო საწარმოების, გზების, სატრანსპორტო საშუალებათა ნგრევა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სირიაში, იორდანიაში. ისრაელი ვალდებულია მთლიანად აანაზღაუროს ყოველივე იმის ღირებულება, რაც დაანგრია. დაბრუნოს მთელი მიტაცებული ქონება. იგი ვალდებულია უმოკლეს ვადაში გააკეთოს ეს.

შესწევს თუ არა ძალა გენერალურ ასამბლეას გადაწყვიტოს მის წინაშე დასახული ამოცანები? დიახ, შესწევს. გენერალურმა ასამბლეამ უნდა თქვას თავისი საფუძვლიანი სიტყვა სამართლიანობის, მშვიდობის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირი და მისი დელეგაცია მზად არიან იმუშაონ სხვა ქვეყნებთან ერთად, რომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ ამ შენობის თაღებს ქვეშ, მზად არიან იმუშაონ ყველა სხვა სახელმწიფოსთან და დელეგაციასთან, რათა მიაღწიონ ამ მიზანს.

ბევრი რამაა დამოკიდებული დიდი სახელმწიფოების მეცადინეობაზე. კარგი იქნებოდა, თუ ამ სახელმწიფოებს დელეგაციები გამონახავენ საერთო ენას იმ გადაწყვეტილებათა მისაღწევად, რომლებიც შეესაბამება ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მაღალი პრინციპებით, სურვილით რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრას აგრესიის შედეგები და აღდგეს სამართლიანობა და გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოაქვს რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„გენერალური ასამბლეა

აღნიშნავს, რომ ისრაელმა უხეშად დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, ჩაიდინა დაგეგმილი, წინასწარ მომზადებული აგრესია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ, მოახდინა მათი ტერიტორიების ნაწილის ოკუპაცია და მიაყენა მათ დიდი მატერიალური ზარალი,

აღნიშნავს, რომ ისრაელი მიუხედავად უშიშროების საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის, 7 ივნისისა და 9 ივნისის რეზოლუციებისა ყველა საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, განაგრძობდა შეტევითს საომარ ოპერაციებს აღნიშნული სახელმწიფოების წინააღმდეგ და გააფართოვა თავისი ტერიტორიული დაპყრობანი,

აღნიშნავს შემდეგ, რომ თუმცა ამჟამად საომარი მოქმედება შეწყდა, ისრაელი განაგრძობს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის ტერიტორიების ოკუპაციას, და მაშასადამე არ წყვეტს აგრესიას და ამუჩად იგდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს,

შეუწყნარებლად და უკანონოდ მიაჩნია ისრაელის მიერ არაბული სახელმწიფოების მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება, რაც ხელს უშლის მშვიდობის აღდგენას ამ რაიონში,

1. გადაჭრით გმობს ისრაელის აგრესიულ მოქმედებას და იმას, რომ ისრაელი განაგრძობს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციას, რაც აღიარებული აგრესიის აქტია;

2. მოითხოვს, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობების წამოუყენებლად დააბრუნოს თავისი ჯარები აღნიშნული სახელმწიფოების ტერიტორიიდან დაზავების სადემარკაციო ხაზს იქით პოზიციებზე, რომელიც დაწესებულია საერთო შეთანხმებებით დაზავების შესახებ, და პატივი სცეს დემილიტარიზებული ზონების სტატუსს, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ შეთანხმებებით დაზავების შესახებ;

3. მოითხოვს აგრეთვე, რომ ისრაელმა აუნაზღაუროს მთლიანად და უმოკლეს ვადაში არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, სირიასა და იორდანიას და მათს მოქალაქეებს აგრესიით მიყენებული მთელი ზარალი, დაუბრუნოს მათ მთელი მიტაცებული ქონება და სხვა მატერიალური ფასეულობანი;

4. მოუწოდებს უშიშროების საბჭოს განახორციელოს, თავის მხრივ, დაუ

სსრ კავშირის პარლამენტართა ხგუფის მიმართვა

სსრ კავშირის პარლამენტართა ჯგუფის კომიტეტმა ეროვნულ საპარლამენტო ჯგუფებსა და საპარლამენტთაშორისო კავშირს მოუწოდა აღიმაღლონ პროტესტის ხმა ისრაელ აგრესორთა წინააღმდეგ და არ დაუშვან, რომ აგრესორმა ისარგებლოს უეცარი დანაშაულებრივი თავდასხმის შედეგებით და დაუსჯელი დარჩეს.

სსრ კავშირის პარლამენტართა ჯგუფი მოუწოდებს სხვა ქვეყნების პარლამენტართა ჯგუფებსა და საპარლამენტთაშორისო კავშირს დაგმონ ისრაელი აგრესორები, რომლებიც განაგრძობენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციას, და მოითხოვონ, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობების წამოუყენებლად უკან დასწიოს მთელი თავისი ჯარები აღნიშნულ სახელმწიფოთა ტერიტორიიდან დაზავების ხაზს იქით.

სსრ კავშირის პარლამენტართა ჯგუფი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატს — 238 მილიონიანი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს აერთიანებს, ნათქვამია მიმართვაში, იზიარებს ხალხთა საყოველთაო აღშფოთებას ისრაელის აგრესიული მოქმედების გამო, გადაჭრით გმობს ამ მოქმედებას და მხარეთა სოლიდარობით ეკიდება და მხარს უჭერს თავიანთი ტერიტორიების მთლიანობისა და თავიანთ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ არაბ ხალხს. სსრ კავშირის პარლამენტართა ჯგუფი სავსებით იწონებს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკურ ხაზს და პრაქტიკულ საქმიანობას აგრესორის ასალაგმავად და არაბი ხალხების სუვერენულ უფლებათა დასაცავად. (საკდესი).

ლენინგრადელი პროპაგანდისტები თბილისში

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა ქალაქ ლენინგრადის პროპაგანდისტთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „თბილისისა და ლენინგრადის პროპაგანდისტების საქმიან შეხვედრათა კვირეულში“.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ე. ზაზერსკი** (ხელმძღვანელი), პოლიტგანათლების სახლის გამგე **ნ. კუჩინი**, კონსულტანტი **ა. ბულკინი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები **ნ. ბრელი**, **ი. ვორობცოვი**, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ი. გლაშკინი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **გ. კოტინასი**, სკკპ მოსკოვის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე **ნ. ორლოვი**, სკკპ სმოლნის რაიკომის მდივანი **ი. საპოუნიკოვი**, სკკპ კიროვის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე **ნ. კორკინა**, სკკპ უდანოვის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე **ფ. ჩურინი** და სკკპ ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში **ვ. მუშტუკოვი**.

დღეს თბილისში გაიხსნება სამეცნიერო სესია დღვანით „**ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ მეგობრები**“. სესია გაიმართება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ინსტიტუტის შენობაში და ორ დღეს გასტანს.

22 ივნისს საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომში გაიმართება თემატური საღამო „**ცხოვრება და პროპაგანდისტი**“. 23 და 24 ივნისს დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პროპაგანდისტთა მეორე რესპუბლიკური შეკრების მუშაობაში.

ლენინგრადელი სტუმრები გაეცნობიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას პრაქტიკას, დაათვალიერებენ თბილისის ისტორიულ ადგილებსა და ღირსშესანიშნაობებს.

„კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის ხელმძღვანელმა **ე. ზაზერსკიმ** თქვა:

— დიდი მადლობითა და ინტერესით მივიღეთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების მიწვევა მონაწილეობა მიგვეღო ასეთ დიდ ღონისძიებაში. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დიდ და ფართო მუშაობას ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისათვის. ჩვენი აზრით, რესპუბლიკაში შეძენილია დიდი გამოცდილება პროპაგანდის მეთოდიკის ორგანიზაციის დარგში. არის ბევრი საინტერესო განზოგადება და ძიება პარტიული პროპაგანდის მეთოდიკის გაუმჯობესებაში. ჩვენც ლენინგრადში დიდ მუშაობას ვეწევით მეთოდური მუშაობის ორგანიზაციისათვის და ჩვენი ამხანაგები დიდი სიამოვნებით გაგიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

დიდი ინტერესით და მოუთმენლად ველით ჩვენი თბილისელი მეგობრების მოხსენებებს.

დასასრულ გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ლენინის ქალაქის პროპაგანდისტთა გულითადი და კეთილი სურვილები გადასცეთ მზიური საქართველოს დედაქალაქის პროპაგანდისტებს. დაე კიდევ უფრო მჭიდრო იყოს ჩვენი კავშირი.

თბილისის აეროდრომზე ლენინგრადელ პროპაგანდისტთა დელეგაციას შეხვდნენ: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე **შ. სალარიძე**, საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანი **ე. სალუქვაძე**, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგე **ვ. კაკაბავა**, საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი **ბ. ბარსუკოვი**, ქ. თბილისის კიროვის რაიონმასკომის თავმჯდომარე **მ. ილოშვილი** და სხვ.

ვლ. გინზბურგი.

• • •

სურათზე: ლენინგრადელ პროპაგანდისტთა დელეგაცია თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ავტორისა.

რუსთაველი მშენებლები საზღვარგარეთ

რუსთავი, (საქდესი). მღებავთა, ხუროთა, ელექტრიკოსთა და სხვა პროფესიების მუშათა დიდი ჯგუფი პირველად 1950 წელს გაემგზავრა ვარშავაში, კულტურისა და მეცნიერების სასახლის, ნოვა გუტის მეტალურგიული კომბინატის, პოლონეთის სხვა საწარმოთა მშენებლობაზე. ახლა რუსთაველ მშენებლებს კარგად იცნობენ ბევრ ქვეყანაში. მათ საზღვარგარეთ ააშენეს მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი საწარმოები, ჰიდროენერგეტიკული სისტემები, ბეტონისა და მიწის კაშხალები, საცხოვრებელი მასივები.

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ კოშიცეს მეტალურგიულ კომბინატში საბჭოთა დოკუმენტაციით აშენდა კოქსქიმიური ქარხანა. მშენებლობაში მონაწილეობდნენ რუსთაველი მშენებლები და მემონტაჟეები.

ინდოეთში აშენდა ბჰილაის დიდი მეტალურგიული ქარხანა. ქარხნის მშენებლობაში მონაწილეობდნენ რუსთაველ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დიდი ჯგუფი. გ. მიქაძის, ნ. ლობოცის, პ. ჭიკაბერიძის, ტ. ტიმოფეევის, ი. გუმბერიძის, ა. ოდნობურცევისა და ბევრ სხვათა სახელებს მადლიერებით იხსენიებენ ინდოეთის ქარხნის მშრომელები, რომელთა საწარმო კვლავ ფართოვდება. და აი რუსთავის — „ფოლადკონსტრუქციის“ სამმართველოს მემონტაჟეები კვლავ გაემგზავრნენ იქ, რათა დაეხმარონ ინდოელ ძმებს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ზ. ცირეკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლეთან დაკავშირებით მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დავით ზაქარიას-ძე **ცირეკიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ქოზლოვი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 19 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ზ. ქიტიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ამხ. დიმიტრი ზაქარიას-ძე **ქიტიაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ქოზლოვი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 19 ივნისი.

მოჰამედ ელ-კუნის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში მოჰამედ ელ-კუნიმ განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და სხვა არაბული ქვეყნები ახლა დაინტერესებული არიან ერთნაირეს ყოველისა ისრაელის აგრესიის ყველა შედეგის ლიკვიდაციით და ისრაელის ჯარების გაყვანით დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

ჯგუშინ „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ სატელევიზიო პროგრამით გადაცემულ ინტერვიუში მან იმედი გამოთქვა, რომ გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია მიიღებს რეზოლუციას აგრესორის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, და აღნიშნა, რომ არაერთი სახელმწიფოები ყველა შემთხვევაში მიაღწევენ ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებას.

შემდეგ ელ-კუნიმ ხაზი გაუსვა, რომ ისრაელი აშორებს ერების შეერთებული შტატებისა და ინგლისის მარიონეტია და ითხოვა ნავთობის მონოპოლიების ინტერესებს, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ არაბული აღმოსავლეთის ბუნებრივ სიმდიდრეს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ამბილა ინტერვიუს მიმღებ კორესპონდენტთა ცდები ჩრდილა მიაყენონ ნაშინგტონსა კავშირის პოლიტიკას და შექმნან ყალბი შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობდეს ხელთ იგდოს ნავთობის გასაღების ბაზრები, მაშინ როცა მთელმა რიგმა არაბულმა ქვეყნებმა აკრძალეს ნავთობის გატანა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმირებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ასეთი პროვოკაციული ხმების წყაროა უწინარეს ყოვლისა ისრაელის წარმომადგენლობა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

ისრაელი აგრესორები ნაპალმს იყენებენ არაბ ლტოლვილთა წინააღმდეგ

ლონდონი, 17 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „გარდიანი“ ბეჭდავს ამანიდან მიღებულ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენციას, რომელშიც დასავლეთიორდანელი ლტოლვილი იუსეფ ან-ნაჯარი მოგვითხრობს, თუ როგორ ესხმოდა თავს ბარბაროსულად ისრაელის ავიაცია მშვიდობიან მცხოვრებთ.

„მთელ გზაზე გაჭიმულა ქანცგამოლეული და შიმით შეპყრობილი ქალების, მოხუცებისა და ბავშვების უსასრულო კოლონა, — მოუთხრო მან კორესპონდენტს. — ისრაელის თვითმფრინავები ხშირად ესხმოდნენ თავს ლტოლვილებს, ტყვიამფრქვევის ცეცხლით ხვრეტდნენ და ბომბებს უშენდნენ მათ. ბევრი დაჭრილი ლტოლვილი გზაშივე იხოცებოდა. ღამით ისრაელის თვითმფრინავები სანათ ბომბებს ყრიდნენ, სანამ იერიშს მიიტანდნენ ლტოლვილთა კოლონებზე“.

„მთელ გზაზე იერუსალიმიდან ჯერიკომდე ვნახეთ ფერფლისა და დამწვარი ძვლების გროვები — ნაპალმის ბომბების შედეგები“, — ასკვნის ან-ნაჯარი.

სირიელი დევნილები

დამასკო, 17 ივნისი. (საკდესი). სირიის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ოფიციალური მონაცემებით, ლტოლვილთა საერთო რიცხვი, რომლებიც ისრაელმა აგრესორებმა განდევნეს სირიის ოკუპირებულ სამხრეთ რაიონებიდან, 17 ივნისისათვის შეადგენდა 75 ათას კაცს. მათ შორის 35 ათასი კაცი ცხოვრობს სკოლებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, 25 ათასი დროებით ცხოვრობს ნათესავებთან და ნაცნობებთან, 15 ათასი დღემდე ბინადარობენ ადგილზე და ღამეს ცის ქვეშ ათევს.

კუვეიტის თათბირი

კუვეიტი. ცამეტი არაბული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა, რომელიც კუვეიტში გაიხსნა, გადაწყვიტა შეწყვიტოს მუშაობა და განაგრძოს ნიუ-იორკში, სადაც თათბირის მონაწილეები თავიანთ დელეგაციებთან ერთად მიემგზავრებიან, რათა მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაში.

კუვეიტის თათბირზე უნდა განეხილათ ვითარება, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგად, მოეშზადებინათ არაბულ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა, აგრეთვე დაესახათ წინადადებანი ისრაელის დამხმარე ქვეყნების წინააღმდეგ ეკონომიური სანქციების გამოყენების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობენ ალჟირის, ირაკის, ირდანიის, ერაყის, იემენის, კუვეიტის, ლიბანის, ლიბიის, მაროკოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, საუდის არაბეთის, სირიის, სუდანისა და ტუნისის წარმომადგენლები.

როცა თათბირის თავმჯდომარემ, კუვეიტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰმა შესვენება გამოაცხადა თათბირის მუშაობაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნავთობის მწარმოებელ არაბულ ქვეყნებს განზრახული აქვთ განაგრძონ ისრაელის აგრესიის ხელშემწყობი ქვეყნებისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტის პოლიტიკა. (საკდესი).

ბაკისტანის მთავრობის მოთხოვნა

ყარაჩი. პაკისტანის მთავრობა მოითხოვს, რომ არაბულ ქვეყნებს დაუბრუნონ ისრაელის მიერ დაპყრობილი რაიონები, განაცხადა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირზადამ.

შემდეგ მინისტრი შეეხო პაკისტანის პოზიციას ვიეტნამის საკითხში და განაცხადა, რომ პაკისტანის მთავრობა გმობს ვიეტნამის ომს. პაკისტანი, ხაზგასმით აღნიშნა მან, მოითხოვს „ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას მოლაპარაკების გზით და იმ საფუძველზე, რომ ვიეტნამელ ხალხს მიენიჭოს უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი“.

საბერძნეთში სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლის განცხადება

ათენი, 19 ივნისი. (საკდესი). ამას წინათ საბერძნეთში საბჭოთა წარმომადგენლები ოფიციალურად გააფრთხილა სალონიკის ბაზრობის დირექციამ იმის გამო, რომ არ ძალუძს წინათ შეთანხმებული თემატიკის შესაბამისად უზრუნველყოს სსრ კავშირის პავილიონის მოწყობის ყველა შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენელი საბერძნეთში ა. ხ. პიროუზიანი ეწვია სალონიკის ბაზრობის დირექტორს სამარასს და განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში კომპეტენტური საბჭოთა ორგანიზაციებს შეუძლებლად მიაჩნიათ მონაწილეობა მიიღონ სალონიკის საერთაშორისო ბაზრობაში ამა წლის სეპტემბერში. საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების ამ ძალაუნებური გადაწყვეტილებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბერძნეთის მხარეს.

„დრაპო რუჟის“ დღესასწაული

ბრიუსელი, 19 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვოლკოვი გვატყობინებს: გუშინ ბელგიის დედაქალაქში გაიმართა ბელგიის „კომპარტიის ორგანოს — გაზეთ „დრაპო რუჟის“ ტრადიციული დღესასწაული. რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა ბრიუსელის ყოფილი საერთაშორისო გამოფენის ერთ-ერთ უდიდეს სადღესასწაულო მორთულ პავილიონში.

პავილიონის გალერეაში მოეწყო გამოფენები, რომლებიც ამუქებენ ევროპის სოციალისტური ქვეყნებისა და კუბის ცხოვრებას, შრომასა და წარმატებებს. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იკრიბება სსრ კავშირის სტენდთან და კიოსკებთან, სადაც ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო საბჭოთა წიგნების, სუვენირების, მარკების გაყიდვა.

მთელი რიგი სტენდები მიეძღვნა მოძმე პრესის ორგანოებს — „პრავდას“, „რუდე პრავოს“, „ნოიეს დოიჩლანდს“, „ლუმანიტესა“ და სხვ. იქვე იყიდება მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა, წიგნები და ბროშურები სოციალისტური და მოძმე კომპარტიების შესახებ. ერთ-ერთ ოთახში მოწყობილია მებრძოლი ვიეტნამელი ხალხისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა და უჩვენებენ დიაპოზიტივებს.

დღესასწაულის ორგანიზატორებმა მოაწყვეს ბევრი მხიარული ატრაქციონი, ლატარია. დღესასწაულზე შეკრებილი სახსრები მოხმარდება ბელგიის კომუნისტური პრესის საჭიროებებს, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს.

ვილსონის ვიზიტი პარიზში

ლონდონი, 19 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ე. პაველი იუწყება: პრემიერ-მინისტრი ვილსონი გუშინ საღამოს პარიზს გაფრინდა. საფრანგეთში თავისი ვიზიტის პროგრამის თანახმად ვილსონმა ორშაბათს. უნდა დაიწყოს მოლაპარაკება პრეზიდენტ დე გოლ-ან. თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ განხილვის ძირითადი და თითქმის ერთადერთი საკითხი იქნება ინგლისის მიმართვა „ექვსეულის“ ქვეყნებისადმი, რომ მიიღონ „საერთო ბაზარში“. მაგრამ ადგილობრივ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ინგლისის მიმართვა „საერთო ბაზრის“ ქვეყნებისადმი საესებით შესაძლოა მეორე პლანზე მოექცეს ახლო აღმოსავლეთის ამასწინანდელი ამბებისა და ამჟამად შექმნილი მდგომარეობის გამო.

საავტომობილო გუმის დასასრული

ბონი. ავტომობილმშენებლობა, რომელიც დღემდე მრეწველობის აყვავებულ დარგად ითვლებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ახლა კრიზისს განიცდის. მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ავტომობილთა გასაღება დასავლეთ გერმანიის ბაზარზე 25 პროცენტით შემცირდა, და ეს ტენდენცია, როგორც ექსპერტები ფიქრობენ, გაგრძელდება. უკვე გასული წლის დამლევს „ფოლკსვაგენის“, „ოპელისა“ და „ფორდის“ საავტომობილო ფირმები აძულებული ხდებნენ შეემცირებინათ წარმოების ტემპი და შემოეღოთ შემცირებული სამუშაო კვირა. მიუხედავად ამისა, საწყობებში დაგროვდა ათიათასობით გაუყიდავი ავტომანქანა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საავტომობილო კონცერნები სერიოზულ სიძნელეებს განიცდიან აგრეთვე საგარეო ბაზარზე. „გასული წლების საავტომობილო ბუმი დამთავრდა“, — პესიმისტურად აღნიშნავს გაზეთი „რაინიშე პოსტი“. (საკდესი).

• • •

ციტრულარის ავტორები წერენ, რომ პროვინციაში „ახლა კვლავ გაძლიერდა კონტრრევოლუციური ეკონომიზმი“ („ეკონომიზმს“ „ულტრაულტრა რევოლუციის“ ორგანიზატორები უწოდებენ მშრომელთა დაკონებულ მოთხოვნებს გაუმჯობესონ შრომის პირობები, ათანაბრონ ცხოვრების დონე), ისევე, როგორც ეს იყო მიმდინარე წლის იანვარში. „ღარიბობა და საშუალო გლეხების უმდაბლესი ფენები, — მოითხოვენ ციტრულარის ავტორები, — გონს უნდა მოვიდნენ და საკადრისი პასუხი გასცენ ეკონომიზმს“.

კვლავ რთული ვითარებაა შანხაის რაიონში. 6 ივნისს შანხაის გაზეთი „ენხუეი ბაო“ წერდა, რომ ცინლუსა და ნანხუეის მაზრებში შეტაკებები მოხდა მაო ძე-დუნის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

(საკდესი, 17 ივნისი).

ინდონეზიის კომუნისტთა ყრილობა

მეხიკო, 19 ივნისი. (საკდესი). აქ „ინსურხენტესის“ თეატრში მუშაობა დაიწყო მექსიკის კომუნისტური პარტიის მორიგმა, XV ეროვნულმა ყრილობამ. ყრილობა განიხილავს სახალხო-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური რევოლუციის განხორციელების გზაზე მექსიკელი ხალხის მოძრაობის უახლოეს პერსპექტივებსა და პრობლემებს, საკითხს პარტიის როლის შესახებ, აირჩევს პარტიის ახალ ხელმძღვანელ ორგანოებს.

ღღეს წესრიგის პირველი პუნქტის გამო მოხსენება გააკეთა მექსიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა არნოლდო მარტინეს ვორდუგომ.

შემდეგ წაიკითხეს მოძმე კომპარტიების მისასალმებელი წერილები. მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს.

პაკისტანის მთავრობის მოსთხოვნა

ყარაჩი. პაკისტანის მთავრობა მოითხოვს, რომ არაბულ ქვეყნებს დაუბრუნონ ისრაელის მიერ დაპყრობილი რაიონები, განაცხადა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირზადამ.

შემდეგ მინისტრი შეეხო პაკისტანის პოზიციას ვიეტნამის საკითხში და განაცხადა, რომ პაკისტანის მთავრობა გმობს ვიეტნამის ომს. პაკისტანი, ხაზგასმით აღნიშნა მან, მოითხოვს „ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას მოლაპარაკების გზით და იმ საფუძველზე, რომ ვიეტნამელ ხალხს მიენიჭოს უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი“.

საერთაშორისო ხელოვნება

პენტაგონი აღიარებს

ნიუ-იორკი 19 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო თავისი წარმომადგენლის მეშვეობით გაკეთებულ განცხადებაში აღიარებს, რომ ამერიკის საბრძოლო თვითმფრინავებმა „შესაძლოა“ ზარბაზნები დაუშინეს საბჭოთა თბომავალ „თურქესტანს“ 2 ივნისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურის კამფაში. ამერიკის მთავრობის წინანდელ განცხადებებში საბჭოთა თბომავალზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავთა თავდასხმის ფაქტს უარყოფდნენ.

პენტაგონმა განაცხადა, რომ თანახმად „ახალი ინფორმაციისა“, რომელსაც შეიცავს წყნარი ოკეანის რაიონში მყოფი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის ჯონ რაინის მოხსენება, „ირკვევა“, რომ 2 ივნისს ამერიკის თვითმფრინავთა ჯგუფი „20 მილიმეტრიან ზარბაზნებს უშენდა ჩრდილოეთ ვიეტნამის საზენიტო ბატარეას კამფაში“ და, რომ, შესაძლებელია, სროლის დროს დაზიანდა „თურქესტანი“.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინანდელ განცხადებებსა და საპასუხო ნოტებში ცდილობდნენ ისე დაეხატათ საქმე, თითქოს „თურქესტანი“ დაზიანებულიყოს არა ამერიკულ თვითმფრინავთა მეკობრული თავდასხმისაგან, არამედ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბატარეების საზენიტო ცეცხლისაგან.

პენტაგონის წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა, რომ გენერალ რაინის მოხსენებას გააცნობენ საბჭოთა მთავრობას და რომ ინციდენტის გამოძიება გრძელდება.

◆

საბჭოთა ხელოვნება მსოფლიო გზებზე

ოთხი პრემია — ჩვენს პიანისტებს

პარიზი, 19 ივნისი. (საკდესი). მარგარიტა ლონგისა და უკ ტიბოს სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია „გრან პრი“ მიენიჭა ედვარდ აუერს (ამერიკის შეერთებული შტატები).

ოთხმა საბჭოთა პიანისტმა მიიღო მეორე, მესამე, მეხუთე და მერვე პრემიები. ეს პრემიები მიენიჭათ, შესაბამისად, ირინე სმოლენსს (მან მიიღო აგრეთვე სპეციალური პრემია ბეთჰოვენის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის), მარკ ზელცერს, ვიტალი ბერზონსა და ტიგრან ალიხანოვს.

ფრანგმა მარიამ ბირუემ მიიღო მეოთხე პრემია. მეექვსე პრემია მიენიჭა პოლონელ ელუბეტ გლაბოვნს, ხოლო მეშვიდე მიიღო ფრანსუა-ფოელ ტიოლემ (ამერიკის შეერთებული შტატები).

ბალეტის ოსტატთა წარმატება

ჰავანა. „ბრწყინვალე წარმატება“ — ასე უწოდა კუბის ეროვნული ბალეტის დირექტორმა ფერნანდო ალონსომ საბჭოთა სოლისტების ეკატერინე მაქსიმოვასა და ვლადიმერ ვასილიევის დასკვნითს გამოსვლებს ბალეტის საერთაშორისო ფესტივალზე „ჰავანა 1967“. ჩვენი ჯარისკაცების ცეკვებს აქ ხედებიან მქუხარე ტაშითა და შეძახილებით „ყოჩაღ“. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ესოდენ დიდ შეფასებას აძლევენ ადანის ბალეტ „ჟიზელში“ მათ მიერ მთავარი როლების შესრულებას ფესტივალის მრავალი მონაწილეა და საპატიო სტუმრები — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბალეტის გამოჩენილი ოსტატები. (საკდესი).

ვოკალური სკოლის გამარჯვება

რიო-დე-ჟანეირო, 19 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ირინე ბოგაჩოვამ რიო-დე-ჟანეიროში 17 ქვეყნის მომღერალთა კონკურსში პირველი პრემია მოიპოვა. მეორე ჩვენმა სოლისტმა რიმა ვოლკოვამ ერთბამად მიიღო ორი ჯილდო — მესამე ძირითადი პრემია და სპეციალური პრემია ბრაზილიელი კლასიკოსის ვილა-ლობოსის ნაწარმოებთა საუკეთესოდ შესრულებისათვის. მქუხარე ტაშით ხვდებოდა დამსწრე საზოგადოება ირინე ბოგაჩოვასა და რიმა ვოლკოვას ყველა გამოსვლას.

მეორე ძირითადი პრემია მიიღო ფინელმა მომღერალმა ტარუ ვალკამ და მეოთხე — ურუგვაელმა ხუან ხებელინმა.

ისრაელ დამპყრობთა თარეში

„ბევრი არაბი დახოცეს, ათეულ ათასობით ადამიანი აპყარეს თავიანთი მიწებიდან...“ — ასე წერდა ამ დღეებში „ლუმანიტეს“ მთავარი რედაქტორი რენე ანდრიე ისრაელ დამპყრობთა თარეშის შესახებ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, იორდანიის, სირიის ტერიტორიაზე, რომელიც მათ მიერ არის ოკუპირებული.

ლობანის გაზეთი „ან-ნაჰარი“ წერს, რომ ისრაელის სამხედრო ხელისუფალნი მდინარე იორდანის დასავლეთით მდებარე რაიონებში მცხოვრები მკვიდრი არაბი მოსახლეობის აყრას შეუდგნენ.

მსოფლიოს პრესა ახლა აჭრელებულია ახალი ცნობებით ისრაელის აღვირახსნილი სამხედრო ხროვის შესახებ. ამანში (იორდანიის დედაქალაქი) სამხედრო ბაზის ოფიციალის უფროსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ასობით ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი მოკლულია ან დაიჭრა ნაპალმით, რომელიც ისრაელებმა გამოიყენეს სავლე ლაზარეთების, ამბულატორიებისა და სხვა სამოქალაქო თუ სამხედრო დაწესებულებების წინააღმდეგ“. მან აგრეთვე განაცხადა, რომ დაჭრილთა აღალებს იერუსალიმიდან იერიქონამდე მთელ გზაზე ისრაელის თვითმფრინავებმა ბევრჯერ დაუშინეს ტყვიამფრქვევები და დააყარეს ბომბები.

იორდანიის სოციალურ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამანში 70 ათასზე მეტი ლტოლვილი ჩავიდა. როგორც ისინი ყვებიან, ოკუპანტებმა მათ ნება მისცეს თან წაიღოთ მხოლოდ პასპორტები. მათი სახლები გაძარცვეს. ისრაელი ჯარისკაცები ქალებს ძვირფას ნივთებს ართმევენ, მამაკაცებს ხვრეტენ.

ისრაელმა ხელთ იგდო არაბთა რაიონები, რომლებიც სამჯერ აღემატება მის საკუთარ ტერიტორიას, და სასწრაფოდ ნიშნავს იქ გუბერნატორებს. ტელ-ავივში ეს არის შეიქმნა სამინისტრო კომიტეტი „ოკუპირებული ტერიტორიის“ მართვისათვის. მთავრობამ აშკარად განაცხადა, რომ იგი აპირებს დაპყრობილი მიწები ისრაელს „შეუერთოს“. ტელ-ავივის თვალსაჩინო მოღვაწე დ. ბენ-ჰურიონი აცხადებს, რომ საჭიროა მიიღონ ღონისძიებანი, რათა „აჩვენონ მსოფლიოს, რომ ისრაელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეინარჩუნოს ტერიტორიები, რომლებიც ოდესღაც ეგრაელებისა იყო“. „ოდესღაც“ ორი ათას წელს ნიშნავს.

ექსპანსიონისტური განცხადებებით გამოვიდნენ ეშკოლი, ეგანი, დაიანი, ალონი, გალილი, ბენტოვი, კარმელი და ისრაელის სხვა მინისტრები. ისრაელის დამპყრობლურ ვეგმებს აქტიურად უჭერენ მხარს ვაშინგტონსა და ლონდონში.

კ. სალაძე.

• • •

ლაზა. მცხუნვარე მზის ქვეშ ეკლიან მავთულს იქით ისრაელის შაშხანების შიშით უძრავად სხედან სამხედრო ტყვე არაბი ჯარისკაცები. აქ არც ფარდულებია, არც წყალი...

ფოტო იუპი-საკდესისა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის რეორგანიზაცია

კაირო, 19 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ალ-აჰრამი“ დღეს იუწყება, რომ მოხდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის რეორგანიზაცია. ახალ კაბინეტს, აღნიშნავს გაზეთი, ალ-ბანის შემადგენლობა

მუშაობა განაახლა ამანის აეროპორტმა

ამანი, 19 ივნისი. (საკდესი). დღეს აბდელ მაჯიდ ხიჯაზიმ. ეს სამოქალაქო აეროპორტი მუშაობა განაახლა იორდანიის დედაქალაქის ამანის აეროპორტმა, ტრ

სურათზე: სიღნაღის სარაიონო კულტურის სახლის ვოკალური ჯგუფის გამოსვლა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. ტურაბელიძისა.

ხალხური ხელოვნების ზეიმი

მეოთხე დღე

რამდენიმე დღეა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მიმდინარეობს საქართველოს თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც ეძღვნება დიადი ოქტომბრის 50 წლისთავს.

ფესტივალის მეოთხე დღე გაიხსნა ასპინძის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ლოტბარი მ. პატარავა, ქორეოგრაფი ა. ჩიხლაძე) გამოსვლით. ასპინძელებმა წარმოადგინეს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ლამქრად წასვლა“.

სამხრეთ ოსეთიდან წარმოდგენილი იყო სამი კოლექტივი: ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის (ლოტბარი ო. სიუკაევი, ქორეოგრაფი ს. თედეევი, ორკესტრის ხელმძღვანელი ვ. გაგიევი), ემალსადენი ქარხნის სიმღერისა და ცეკვის (ხელმძღვანელი რ. ძაბოევი) და ჯავის სარაიონო კულტურის სახლის მოცეკვავეთა (ხელმძღვანელი თ. ჯატიევი) ანსამბლები. მრავალფეროვანი იყო მათი რეპერტუარი.

მაყურებლებს მოეწონათ გურჯაანის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა მისი კონსულტანტის ა. კაკასაძის ხელმძღვანელობით (ანსამბლის ლოტბარია ო. ბეციაშვილი, ქორეოგრაფი — ა. გურგენიძე). გურჯაანელებმა შეასრულეს ხალხური სიმღერები და ცეკვები „ეუშინ შვიდნი გურჯაანელნი“, „ჩაკრულო“, „ცეკვა ქართული“, „მწყემსური“, „მუძლი მუხასა“. აგრეთვე კომპოზიტორ მ. ფრადკინის „სიმღერა დნეპრზე“.

ლენინაკანის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ლოტბარი ნ. ჩავლეიშვილი, ქორეოგრაფი რ. ცინცაძე) პროგრამაში ჰქონდა ხალხური სიმღერები „მწვანესა და უქუდოსა“ (ასრულებდნენ დ. ტიკარაძე, გ. გუნბარიძე, ი. გურგენაძე), „შრომის სიმღერა“ (სოლისტები ა. აფშილავა, ტ. შანავა, გ. წერეთელი), „სალამი სამშობლოს“, კომპოზიტორ ნოვიკოვის „ჩემი სამშობლო“ (სოლისტი ნ. ჩავლეიშვილი), ცეკვები „ხორუმი“ და „ფერხული“.

კონცერტის მეორე განყოფილება გახსნა მცხეთის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ლოტბარი ი. მჭედლიშვილი, ქორეოგრაფი ა. გაგნიძე და გ. გვასალია), რომელმაც წარმოადგინა ვ. მამუკელაშვილის ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „მცხეთა“.

სიმღერები „მაყრული“ (ხალხური), შ. მილორავას „ჩემო ხალხო, გმირო ხალხო“, ს. ნასიძის „მივდიოდი მინდორ-მინდორ“, კ. ფოცხვერაშვილის „ძღვების სიმღერა“, ცეკვები — „ყაზბეგური“ და „მეჩაიეთა ცეკვა“ გაიცნო მაყურებლებს ფოთის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ლოტბარი ს. ფალავანდიშვილი, ქორეოგრაფი ე. გუმბერიძე).

ორჯონიკიძის რაიონიდან გამოვიდა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. აბაშიძე, ქორეოგრაფი გ. პერიხანოვი) და შეასრულა სიმღერები „დიდება ოქტომბერს“, „დიდება პარტიას“ (მუსიკა შ. მილორავასი), ხალხური „მაყრული“ და „სიო ტკბილად გიალერსებს“, ცეკვები „ქართული“ (თ. იორდანიშვილი, კ. ამაშუკელი) და „ოსური“ (თ. იორდანიშვილი, გ. პერიხანოვი).

ფესტივალის მეოთხე დღის კონცერტის მშვენიერი დასკვნითი აკორდი იყო მახარაძის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ლოტბარები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვლ. ერქომაიშვილი და ან. ერქომაიშვილი, ქორეოგრაფი ვ. მეგრელიძე) გამოსვლა. მაყურებლებს მოეწონათ ანსამბლის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები „საქართველო“ (დამუშავებული არტემ ერქომაიშვილის მიერ), „ხასანბეგურა“, ნადური „საჯოხურა“, ცეკვა „ფერხული“ და ქორეოგრაფიული სიუიტა „ძველი და ახალი გურია“.

ქართველი მეცნიერი უნგრეთში

სსრ კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ მივლინებით უნგრეთში ლექციების წასაკითხად იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი ბ. ფურცხვანიძე.

პირველი საჯარო ლექცია ქართველ მეცნიერს ჰქონდა ბუდაპეშტში, კოშუტის სახელობის კლუბში, რომელსაც ესწრებოდნენ დედაქალაქის ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ლექციის თემა იყო — საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის განვითარება. შემდეგ პროფესორი ფურცხვანიძე გამოვიდა ქალაქ ნიერედხაზის იურისტთა წინაშე. აქ მან წაიკითხა ლექცია — დანაშაულობანი და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.

იმავეგან ქალაქ ნოდკონიეფში მომდინარეობდა იურისტთა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებიც. ამ კონფერენციაზე მოწვეული იყო ქართველი მეცნიერი, რომელმაც საბჭოთა კავშირის იურისტთა სახელით წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა.

უნგრეთში ყოფნისას პროფესორ ბ. ფურცხვანიძეს შეხვედრები ჰქონდა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან, უნგრეთის გენერალურ პროკურორთან, იუსტიციის სამინისტროს მუშაკებთან.

— მინდა აღვნიშნო ის გულითადი დამოკიდებულება, რასაც ჩემდამი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლისადმი, იჩენდნენ უნგრელი მეგობრები, — აღნიშნა პროფ. ბ. ფურცხვანიძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში.

ათი დღე ჩერკესკელ თანატოლებთან

მაისის ერთ მზიან დღეს ფოსტამ წერილი მოიტანა, რომელსაც ქალაქ ჩერკესკის დამღა ესვა. წერილის ავტორები იყვნენ პიონერები, ამ ქალაქის ეროვნული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები. ისინი ეპატიჟებოდნენ თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს — თავიანთ თანატოლებს საქართველოდან მეგობრობის დღესასწაულზე, რომელსაც ყოველ წელიწადს ტრადიციულად აწყობენ და ახლა კი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მოიძღვნეს.

ამას წინათ თბილისის პირველი სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები — ვლადიმერ ეგეტაშვილი, თამარ მაქსიმოვა და ირინე მგელაძე ამ სტრიქონების ავტორის თანხლებით გაეგზავნენ ჩერკესკში მეგობრობის დღესასწაულზე.

მართლაც, მეგობრობისა და საყვარულის ნათელი გრძნობებით შეხვედნენ ჩერკესკელი ბავშვები მზიური საქართველოდან ჩასულ თანატოლ სტუმრებს.

დღესასწაულამდე თავისუფალი გვქონდა რამდენიმე დღე. ბავშვებმა წაგვიყვანეს ექსკურსიაზე, გვანახვეს თავიანთი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ვიყავით სტავროპოლში, კისლოვოდსკში, ეპენტუკში, პიატიგორსკში. პიატიგორსკში ვნახეთ გამოჩენილი რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის ფუელის ადგილი. დავთვალიერეთ პოეტის სახლ-მუზეუმი, ახლოს გაგვეცანით მწერლის ცხოვრებას და შემოქმედების იმ პერიოდს, როდესაც იგი ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა.

დადგა ზეიმის დღეც. ვის არ ნახავდით აქ! საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მოფენილნი ბავშვები. ქალაქის დიდ თეატრში ტევა აღარ არის. ისმის ქართიმელი, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი, გადაძახება. ბავშვები ეცნობიან ერთიმეორეს, ცვლიან სამახსოვრო საჩუქრებს, ფოტოგრაფებს. აი ჯგუფი სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისა. რომლებიც სამახსოვრო სურათს იღებენ...

ზეიმზე სტუმრებს თავიანთი შემოქმედება აჩვენეს მასპინძლებმა. პატარა მსახიობებმა ბავშვების თვალწინ გააცოცხლეს რევოლუციამდელი ჩერქეზეთი, შემდეგ რევოლუციის, სამოქალაქო ომის, ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პერიოდი. იყო სცენები დიდი სამამული ომიდან, წარმოადგინეს კოსმოსის ერა.

მეორე განყოფილება დაეთმო სტუმრებს. იგი გაიხსნა ჩვენი მოსწავლეების გამოსვლით. თბილელ თამარ მაქსიმოვა მიესალმა ჩერკესკელ თანატოლებს და შემდეგ ირინე მგელაძესთან ერთად შეასრულა სიმღერა „თბილისო“, ქართული ცეკვები, რითაც ქების სიტყვები დაიმსახურეს. პიონერებმა მოაწყეს კარნავალი, ანთეს მეგობრობის კოცონი.

დადგა წამოსვლის დრო. ვგრძნობდით, ბავშვებს ეძნელებოდათ თანატოლებთან დაცილება. მათ ხომ ერთად მთელი ათი დღე გაატარეს, დაესწრნენ გაკვეთილებს, ერთად ცხოვრობდნენ, მეგობრობდნენ.

ბავშვებს დიდხანს, დიდხანს ემახსოვრებათ ერთად გატარებული დღეები.

ნორა ანთიძე,
აღმზრდელი მასწავლებელი.

სურათებზე: ზემოთ — ჩერკესკის ეროვნული სკოლა-ინტერნატის ემბლემა. ქვემოთ — თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები ვლადიმერ ეგეტაშვილი, ირინე მგელაძე და თამარ მაქსიმოვა თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ ჩერქეზ მოსწავლეს კახარ ერიყევს (მარცხნიდან პირველი).

ფოტო ავტორისა.



გამცილებლის მამაცობა

ტყიბული. (საკ. კორ.). რკინიგზის სახალხო სადგურიდან სამგზავრო მატარებელი დაიძრა და თანდათან სვლას უმატა. ერთი დაგვიანებული მგზავრი მატარებელს გამოედევნა. იგი ერთ-ერთი ვაგონის სახელურს ჩაეჭიდა, მაგრამ მკლავმა უმტყუნა...

მატარებლის გამცილებელი კონსტანტინე კაპანაძე თავის ადგილზე აღმოჩნდა. ფიზიკური რკინიგზელი ელვის სისწრაფით მივარდა სამუხრუჭებელს და გადმასწია, შემდეგ კი გაწწრილული ადამიანის დასახმარებლად გაექანა. მატარებელი დამუხრუჭდა. მაგრამ ინერციით განაგრძო მოძრაობა. კ. კაპანაძემ იმ დროს ჩასჭიდა ხელი მგზავრს, როცა ის-ის იყო თვლებქვეშ უნდა ჩავარდნილიყო. გადარჩა სიცოცხლე.

განსაცდელში ჩავარდნილი მგზავრი ორჯონიკიძის სახელობის ზახტის მუშა ა. შარაბიძე აღმოჩნდა.

სოფლის სიახლენი

გუშინდელი ფოსტიდან

□ ასპინძა. რაიონის კინოთეატრის დარბაზში მოეწყო სარაიონო ბიბლიოთეკის მკითხველთა კონფერენცია, მიძღვნილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი.

მოხსენებები თემებზე: „ქართველი ხალხი დიდ სამამულო ომში“, „მამათა გზით“, „ოქტომბრის რევოლუცია მხატვრულ ლიტერატურაში“ წაიკითხეს ა. მელიქიძემ, ვ. შეუილაძემ, ა. ბუთხუზამ. (ნ. ოკრობაძე).

□ ამას წინათ ახალი საჩუქარი მიიღეს გალელებმა: ენგურჰესის ქუჩაზე გაიხსნა შერეული მაღაზია. იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. (ს. პაპასპაშა).

□ საჩხერეში, ლენინის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის მახლობლად გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი პავილიონი, სადაც მუშაობას შეუდგნენ: ტანსაცმლის სამკერვალო სამჭრელი, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, საპარიკმახერო, საათების შესაკეთებელი და სხვ. (ა. ანასაშვილი).

□ ცხინვალის საქალაქო კულტურის სახლთან არსებული მუსიკალურ-დრამატული მხატვრული თვითმოქმედი ანსამბლი (ხელმძღვანელი ბ. გასიევი) ხშირად მართავს გამსვლელ კონცერტებს. წელს ანსამბლი მოემსახურა ლენინგორის, ჯავისა და ზნაურის რაიონების სოფლებს. მაყურებლის მოწონებას იმსახურებენ ანსამბლის მონაწილენი: დიასახლისი ფ. ბითიევა, ელექტრომონტიორი ა. ქელეხსაევი, მოსწავლეები ხ. ვალიევი, ბ. ტეხოვი, ნ. ჯიოევა, ა. გაბარაევა, მ. ჯიოევი და სხვები. (ვლ. თოდლური).

ახალი შუენებლობანი

უკანასკნელ წლებში დიდი მშენებლობაა ბათუმის ნავსადგურში. აქ სიექსპლოატაციოდ გადაეცა 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, სასტუმრო და სხვ. გასულ წელს მშრომელებმა 8 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს.

წელს ბათუმში საოქტომბროდ დამთავრდება მეორე 8-სართულიანი სახლის მშენებლობა, ახალ სახლში 77 ოჯახი დაბინავდება. მალე დამთავრდება აგრეთვე 500 ტონის ტევადობის პროდუქტების შესანახი საწყობის, ახალი საყოფაცხოვრებო კომბინატის მშენებლობა და სხვ.

შ. კახიძე.

სურათებზე: ზემოთ — გამოდის ქარელის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფი; ქვემოთ — სცენაზეა აბაშის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. ტურაბელიძისა.

ნარკომატებაც და ნარკომატებლობაც

საბჭოთა ჩოგბურთელებს, მათ შორის ჩვენი ნაკრების წევრებს მოსვენება არა აქვთ. შეხვედრას შეხვედრა მოსდევს, ტურნირს ტურნირი.

ერთ-ერთ ასეთ ასპარეზობას წარმოადგენდა კენტის საგრაფოს ჩემპიონატი. რომელიც ბეკნემის ბალახიან კორტებზე მიმდინარეობდა. ასეთ შეუჩვეველ პირობებში ჩვენს ჩოგბურთელებს გამოსვლა ვაუბნელდათ, იყო წარმატებაც და წარუმატებლობაც. ერთეულთა ასპარეზობაში ჩემპიონობა დაიმსახურეს ინგლისელმა ენ ჯონსმა და ავსტრალიელმა ოუენ დევიდსონმა. სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა ნახევარფინალში წააგო ო. დევიდსონთან. საბჭოთა ჩოგბურთელებიდან ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია ს. ლიხაჩოვმა. მან ამერიკელ რ. ქაზალსთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა შერეულ წყვილებში, ფინალში დაამარცხა ა. მეტრეველი და ა. დმიტრიევა 6:4, 3:6, 6:3.

ვაუთა წყვილებში ა. მეტრეველისა და ს. ლიხაჩოვის წინააღმდეგ ბრძოლნენ ავსტრალიელი ო. დევიდსონი და ჯონკოგელი კ. ფლეტჩერი, ჩვენი ჩოგბურთელები დამარცხდნენ 11:13, 3:6. ქალთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ ინგლისელი ჩოგბურთელები ენ ჯონსი და ვირჯინია ვეიდი.

ფელეგები, ჯილდოები

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში 18 გროსმაისტერის მონაწილეობით.

ვინ მოიპოვა სპეციალური პრიზები?

შემოქმედებითი წარმატებისათვის დაწესებული პრიზი გადაეცა ლ. პორტიშს (უნგრეთი), ყველაზე მეტი მოგებისათვის — ლ. შტეინს; დებიუტის ახალი იდეისათვის — დ. ბრონშტეინს, ყველაზე ლამაზი პარტიისათვის — მ. ტალს, საზღვარგარეთელ მოჭადრაკეთა შორის უკეთესი შედეგისათვის — მ. ბოგოიავლოვს (ბულგარეთი).

ბორჯომი

(საკ. კორ.). ეს იყო უჩვეულო დილა ბორჯომელთათვის. ათასობით ქალაქელი და დამსვენებელი საოცარი სურათის მოწმე გახდა — მტკვარი გადათეთრდა დიდძალი, წყლის ზედაპირზე მოტივტივე მოწამლული თევზებით.

რა მოხდა?

ღამით ოცდაორ კილომეტრზე ბორჯომამდე, სოფელ ქვაბისხევთან ორი მანქანა გაჩერდა. მანქანებიდან მგზავრები გადმოვიდნენ და მდინარისაკენ გასწიეს, მდინარე ბადეებით გადაღობეს და წყალში ჩაყარეს 30 კილოგრამამდე ციანდნობი — მომწამვლელი ნივთიერება, რომელსაც მღრღნელებისა და სასოფლო-სამეურნეო მავნებლების მოსასპობად იყენებენ.

ბრაკონიერები იმედოვნებდნენ, რომ შაბათ მოწამლავდნენ თევზს და ადვილად დაიჭერდნენ. მათ მოსპეს ყოველივე ცოცხალი თითქმის 30 კილომეტრზე მდინარის დინების მიმართულებით, მანქანა დატვირთეს თევზით სავსე რამდენიმე ტომრით და მიიმალნენ.

ამ ამბავმა აღაშფოთა საზოგადოებრიობა. ბევრი შრომა დასჭირდათ ბორჯომის რაიონის მილიციისა და პროკურატურის მუშაკებს, სანამ დამნაშავენი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებოდნენ. ესენი არიან ხაშურის რაიონის მცხოვრებლები ბიორგი ქალიაშვილი, გივი ტალახაძე, გურამ ლომიძე, შოთა ქალიაშვილი, სერგო სუხიაშვილი, ეროვნებით ბერძენი ალექსანდრე ბოლოკინი, ალექსანდრ ბოლოკინის ძე, ეროვნებით ბერძენი, ბ. ბ. ბ. ... ...